# სამყაროს შემეცნება

# 8

სახელმძღვანელო







# Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,*
*sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadiriz!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hərbə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gənclər müştaqdır!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!

ნუშაბა მამედოვა
სევილ ბახრამოვა

# სამყაროს შემეცნება
# 8

კლასის საგანმანათლებლო
## სახელმძღვანელო

ŞƏRQ-QƏRB
BAKI 2017

ნუშაბა მამედოვა სევილ ბახრამოვა
**სამყაროს შემეცნება**
საშუალო სკოლის მოსწავლეების სახელმძღვანელო, 80 გვ.
ბაქო, საგამომცემლო სახლი "Şərq-Qərb", 2017 .

***სახელმძღვანელოში აღნიშნული ნიშნები და მათი განმარტება***

*კვლევა და განხილვა*

*კითხვები და დავალებები*

ქართული გამოცემის ხელმძღვანელი **როლანდ ჯალაღანია**
ტექ. რედაქტორი
**მიხეილ ჩოდრიშვილი**
თარგმანი
**ნაილი გაჯიევა**

*საავტორო უფლებები დაცულია. განსაკუთრებული ნებართვის გარეშე, ამ სახელმძღვანელოს ან რომელიმე მისი გვერდის ბეჭდვა, კოპირება, ელექტრონული ვერსიის გავრცელება კანონით დაუშვებელია*

© აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, 2017



# ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის საერთო ეროვნული ლიდერი

# ბუნების კანონზომიერებები



## 1. მატერია — ნივთიერება და ფართობი

ჩვენ გარშემო უამრავი სხეული, ნივთი და კლიმატური ფაქტორი არსებობს., რომლებიც სხვადასხვა ნივთიერებისაგან შედგება. ხშირად ვხვდებით ბუნებრივ მოვლენებსაც. სამყაროში ხილულ და უხილავ სხეულებს, ატომებს, სინათლეს და სხვა, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობს, მატერია ეწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ბუნების მოვლენებს გრძნობის ორგანოებით აღიქვამენ, მათი თვისებების დადგენა გამოცდილებით და დაკვირვებით ხდება.

გაიხსენეთ მატერიის სახეობები და მათი მნიშვნელოვანი თვისებები.

მეცნიერებმა მატერიის თვისებების კვლევით სხვადასხვა მოვლენების წარმოშობა ახსნეს და მოვლენებში ჩარევის შესაძლებლობას დაეუფლნენ.

*განსაზღვრეთ სურათებში მოცემული მატერიის სახეობები და გაარჩიეთ მეგობრებთან ერთად*
*რისგან მზადდება სურათში მოცემული ტანსაცმლები და აღჭურვილობები?*





*რა გვაძლევს ორ განსხვავებულ ოთახში სხვადასხვა გადაცემის ნახვის შესაძლებლობას?*



*რატომ ეცემა დედამიწის ზედაპირზე ზარბაზნიდან ნასროლი ჭურვი?*



*რა არის იმის მიზეზი, რომ მთვარე დედამიწის გარშემო, ხოლო დედამიწა მზის გარშემო მოძრაობს?*



ყველაფერი, რასაც მასა და მოცულობა აქვს – მატერიაა. ფიზიკური მოცულობის მქონე ნივთიერებები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ.

ნივთიერებები შეიძლება იყოს მყარ, თხევად და აირად მდგომარე-ობაში









თქვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ვითარებებში არსებულ ნივთიერებს პრაქტიკულ ქმედებაში ხვდებით და მათ ზოგიერთ თვისებას აკვირდებით

მყარ ნივთიერებებს სიმტკიცე, გამძლეობა, ელასტიურობა, პლასტიურობა, სითბოსგან გაფართოება, სიცივისგან შეკუმშვა, ელექტროგამტარობა ახასიათებთ; თხევადი ნივთიერებებს აორთქლება, ადუღება, სითბოსგან გაფართოება, ელექტროგამტარობა; აირისებრი ნივთიერებს სითბოსგან გაფართოება, შეკუმშვა და თხევადობა ახასიათებს.


გაყინული წყალი


ვერცხლისწყლის თერმომეტრი


თხევადი ჟანგბადი


ადუღებული წყალი

რატომ იყენებენ მატარებლის ბორბლის დამზადებისას მეტალს, ავტომანქანის საბურავებში ჰაერით შევსებულ რეზინს, კოსმიურ სივრცეში გათხევადებულ ჟანგბადს, რომელიც მას ეხმარება

ნივთიერების მყარი მდგომარეობა მყარი ნივთიერების თხევადისგან და აირისაგან განმასხვავებელი სპეციფიკური თვისებაა, ატომსა და მოლეკულებს შორის ურთიერთგავლენის ძალიან დიდია ძალა. მყარი სხეულები მოცულობასა და ფორმას ინარჩუნებს, მათი ატომებისა და მოლეკულების წესრიგისამებრ განლაგება გარკვეულ გეომეტრიული ფორმის კრისტალებს წარმოშობს. ყინულის ნაჭერი, მარილი, ძვირფასი ქვები და მეტალები კრისტალური სხეულებია. თუმცა, ამავე დროს, არსებობს ატომებისა და მოლეკულების სტრუქტურები, რომლებიც არ მოიცავენ მოწესრიგებულ განლაგებას. ისინი ამორფული მყარი სხეულებია. მაგალითად: სანთელი, საღეჭი რეზინა, პარაფინი და შუშის მსგავსი ნივთიერებები ამორფინებია. კრისტალებს აქვთ მუდმივი დნობისა და სიმყარის ტემპერატურა. ამორფული სხეულების ტემპერატურა დნობისა და სიმყარის დროს უწყვეტად იცვლება. მიმართულების მიუხედავად, კრისტალების ფიზიკური და მექანიკური თვისებები იცვლება, ხოლო ამორფული სხეულების ფიზიკური და მექანიკური თვისებები მიმართულების მიუხედავად არ იცვლება. საყოფაცხოვრებო მოწყობილობები, აღჭურვილობები და სხვადასხვა ნივთიერებები ამ თვისებებისგან შედგება. შუშა ამორფული სხეულის რომ არ ყოფილიყო, მისგან შუშის ბოთლისა და ჭიქის დამზადება შეუძლებელი იქნებოდა

ნივთიერების თხევადი მდგომარეობის – სითხის თვისებების შეცნობა დაახლოებით 2300 წლის წინ არქიმედემ წამოიწყო.


არქიმედე

სითხეების ფორმები გარე მამოძრავებელი ძალების ზეგავლენის ქვეშ მუდმივად იცვლება, ამის შედეგად, სითხეებში დინებას აკვირდებიან. განსხვავებით აირებისაგან, ზოგიერთი სითხე ნაკლებად ექვემდებარება შეკუმშვას, ზოგიერთი სითხე კი საერთოდ არ იკუმშება. სითხეები, ჩასხმისას იღებენ ქვაბის ფორმას. სითხეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება მათი ხახუნთან დაკავშირებული სიბლანტეა. ხშირ შემთხვევაში სითხე სითბოსგან ფართოვდება და დენს ატარებს. როდესაც ჩვენ გარკვეული წონის აგურს ვიღებთ ხელში, ვიგრძნობთ, რომ ხელის კუნთები იჭიმება. დიდი ძალისხმევაა საჭირო, იმისათვის, რომ აგური ჰაერში აღმართული გვეჭიროს. მაგრამ თუ ჩვენ აგურს წყალში დავიჭერთ, ვნახავთ თუ როგორ მსუბუქდება აგური.

ავიღოთ ნებისმიერი ქაღალდის ნაჭერი და მივცეთ კონუსის ფორმა. ჩავდოთ აღნიშნული ქაღალდი წყალში, რომელშიც გაზავებული იქნება სარეცხი ფხვნილი. შემდგომ, ნაზად ამოვიღოთ აღნიშნული ფურცელი და შევუბეროთ. დავინახავთ, რომ საპნის ქაფი გაიზრდება და მიიღებს კალათბურთის ბურთის ფორმას. აღნიშნულისათვის ჩვენ შეგვიძია გამოვიყენოთ ნებისმიერი სარეცხი საშუალება.

**ნივთიერების აირადი მდგომარეობა.** აირი თავისუფლად ფართოვდება, ვინაიდან აირის მოლეკულებს შორის მანძილის ზომა გაცილებით დიდია. აირი გარკვეულ ზღვრამდე იკუმშება. ხოლო როდესაც ზეწოლა სათანადო ზღვარს მიაღწევს, შეკუმშვა სუსტდება. აირის ეს თვისებები ავტომანქანების საბურავების, საყოფაცხოვრებო გაზის, ჟანგბადით ცილინდრების შესავსებად გამოიყენება.



1. ამოწერეთ რვეულში ნისლის ღრუბლის გამომწვევის მიზეზი და მისი სხვადასხვა ფუნქციები.
2. რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ბუნებაში ელექტროენერგიის სითბოს გამტარი ნივთიერებები არ იარსებებდა? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
3. შეაგროვეთ ინფორმაცია ელექტრომაგნიტური ველის შესახებ, რომლის მეშვეობითაც მოძრაობენ თვითმფრინავები და კოსმოსური ხომალდები.

## 2. სამყაროში მომხდარი მოვლენების საიდუმლოებანი

სამყარო უსასრულოა. თქვენ იცით, რომ არსებობს უამრავი ზეციური სხეული, რომლებიც ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და გალაქტიკებს ქმნიან: პლანეტები, ბუნებრივი თანამგზავრები, ასტეროიდები, ვარსკვლავები, კომეტები, მეტეორები და ა.შ.

რა მოვლენებები ხდება სამყაროში? როგორ შეგვიძლია შევიცნოთ აღნიშნული მოვლენები? რას ეყრდნობა სამყაროში მომხდარი მოვლენები?

ანტიკურ ეპოქაში, ასტრონომები ზეცის დათვალიერებისათვის ჩვეულებრივ ჭოგრიტს იყენებდნენ. იმ პერიოდში, როდესაც ადამიანები ციური სხეულების მოძრაობას აკვირდებოდნენ, ვერ ადგენდნენ თუ რა მოვლენები ხდებოდა ზეცაში. ასევე ვერაფერს ამბობდნენ მისი სტრუქტურის, წარმოშობის და განვითარების შესახებ.

თანამედროვე პერიოდში მეცნიერები ზეციურ სხეულებზე დაკვირვებისთვის იყენებენ განსხვავებულ ტელესკოპებს.







ობსერვატორიებში ზეცაში მომხდარი ცვლილებების ჩამწერი მინის ფირფიტის მეშვეობით, შეიძლება დავაკვირდეთ ვარსკვლავების ადგილმდებარეობას და მათი სიკაშკაშის ცვლილებას. ამავე დროს, შეგვიძლია დავაკვირდეთ დედამიწის მზის გარშემო, მთვარის დედამიწის გარშემო ბრუნვას, მზისა და მთვარის დაბნელებას, მზის აფეთქებას, ასტეროიდების მოძრაობას და ა.შ. დედამიწის, სხვა პლანეტებისა და მზის სისტემის პატარა სხეულების ბრუნვას მზის გარშემო.

**გიფიქრიათ თუ არა, რომ მზის სისტემის განაპირად არსებობს ვარსკვლავები?**

- ***რა არის მთვარის დედამიწის გარშემო ბრუნვის და დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის მიზეზი?***
- ***რა შეგიძლიათ თქვათ ამ გალაქტიკების შესახებ?***
- ***როგორ ხდება მზის და მთვარის დაბნელება?***
- ***არსებობს თუ არა ჩვენი გალაქტიკის გარდა სხვა გალაქტიკები?***



ნიკოლა კოპერნიკი

ანტიკურ ეპოქაში ასტრონომები ზეცის დათვალიერებისთვის ჩვეულებრივ ჭოგრიტს იყენებდნენ. იმ პერიოდში ადამიანები ციური სხეულების მოძრაობებზე დაკვირვებისას ვერ ადგენდნენ თუ რა მოვლენები ხდებოდა ზეცაში. მისი სტრუქტურის, წარმოშობის, განვითარების შესახებ ვერაფერს ამბობდნენ.

თანამედროვე პერიოდში მეცნიერები ზეციური სხეულების დაკვირვებისთვის სხვადასხვა მოწყობილობებს იყენებდნენ. ამჟამად ზეციური სხეულების დაკვირვებისთვის იყენებენ განსხვავებულ ტელესკოპებს.

წარსულშიც იყო გასაგები, რომ მზე მოძრაობს. პტოლემეოსის გეოცენტრული სისტემის თეორიის თანახმად, დედამიწა სამყაროს ცენტრში მდებარეობდა, ხოლო მზე, მთვარე და პლანეტები დედამიწის გარშემო ბრუნავდნენ. XVI საუკუნეში პოლონელი მეცნიერის ნ. კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემის თეორიამ პტოლემეოსის თეორია დაარღვია.

ამ თეორიამ მზის სისტემის სტრუქტურის სწორი სურათი განსაზღვრა და ნათელი გახდა, რომ ყველა პლანეტა მზის გარშემო, ხოლო მთვარე დედამიწის გარშემო ბრუნავს. სამყარო შედგება მატერიისა და რადიაციისაგან.

სამყაროში მატერია თანაბრად არის განაწილებული. სამყაროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება მისი გაფართოება და ცვლილებაა. ის, ყოველთვის მოძრაობს. მთვარე დედამიწის, დედამიწა მზის, მზე გალაქტიკების ცენტრის გარშემო ბრუნავს, რისი მიზეზიც ცის სხეულებს შორის არსებული ხიბლია.

მზის სისტემა, თეთრი გზა და სხვადასხვა სინათლის მქონე მილიარდობით არსებული ვარსკვლავით გარშემორტყმული გიგანტური ვარსკვლავური სისტემა ჩვენი გალაქტიკაა. ყველა ვარსკვლავი გალაქტიკაში გრავიტაციული ძალით ერთმანეთთან მქონე კავშირისს გამო, გალაქტიკის ცენტრის გარშემო ბრუნავს. მზე გალაქტიკის ცენტრის გარშემო დაახლოებით 200 კმ/წმ. სისწრაფის სიჩქარით მოძრაობს და მთლიან ციკლს 230-270 მილიონი წლის განმავლობაში ავსებს. დედამიწა და მის გარშემო არსებული ყველა სხეული, რომელთაც აქვთ მოცულობა, ერთმანეთს იზიდავენ.

# როგორ ხდება მზისა და მთვარის დაბნელება?

**მზის დაბნელება** – მზე დედამიწიდან სრულად ან ნახევრად არ ჩანს. ამ დროს, მზე, დედამიწა და მთვარე ერთმანეთის გასწვრივ არიან განლაგებული. ამ მოვლენის დროს მთვარე დედამიწასა და მზეს შორის მდებარეობს. ეს მოვლენა როგორც წესი 1-2 წუთი გრძელდება,




**მთვარის დაბნელება** - მზის, დედამიწისა და მთვარის ერთ სწორ ხაზზე განლაგების დროს ხდება. თუმცა, ამ დროს დედამიწა მთვარისა და მზის შორის მდებარეობს. მთვარე დედამიწის ჩრდილში შესვლისას მზისგან მიღებულ სიკაშკაშეს კარგავს. მთვარის დედამიწის ჩრდილში სრულად განლაგების დროს, სრული დაბნელების ფაზა იწყება და ეს როგორც წესი, 1,5 საათი გრძელდება




ორივე მოვლენა ეფუძნება სინათლის სწორი ხაზის დანაწილების პრინციპს. ამ კანონის მიხედვით, სინათლე ერთგვაროვან გარემოში სწორი გზის გასწვრივ ვრცელდება.

როგორც ჩანს, სამყაროში ყველა მოვლენა საერთო კანონების მიხედვით ხდება და ყველა კანონი ნებისმიერ სფეროში, ნებისმიერ მიმართულებაში, უცვლელი რჩება.

1. სწრაფად მოძრავი პლანეტები, ცდის მიუხედავად, მზისგან დაშორებას ვერ შეძლებენ.
განსაზღვრეთ და დაადასტურეთ ეს მოსაზრება
2. ახსენით, თუ რატომ არ წყდებიან დედამიწის ზედაპირიდან ცოცხალი არსებები ?
3. ასტრონომები თვლიან, რომ დედამიწის მახლობლად გაივლის ასტეროიდი, რომელიც იწონის 27 კგ და მისი ზომა 20 მეტრია. მათი აზრით, ეს მოვლენა ჯერ ჯერობით საფრთხეს არ წარმოადგენს, თუმცა მომავალში ასტეროიდის ორბიტა დედამიწას მოუახლოვდება. ახსენით ასტრონომების მიერ აღნიშნული დასკვნის გაკეთების მიზეზი.

## 3. ეკოლოგიური ბალანსი

მსოფლიოს ეკოლოგიური საწყისიდან გამომდინარე, 2010 წელს, დიდ ბრიტანეთში შემუშავდა ქალაქების რეიტინგი. რეიტინგში არსებულ 221 მეგაპოლისს შორის მსოფლიოს ყველაზე ეკოლოგიურ ქალაქად ჩაითვალა კანადის ქალაქი კალგარი. რეიტინგის მომზადებისთვის, ყურადღება მიექცა შემდეგ კრიტერიუმებს:

**სასმელი წყლის ხარისხი**

**ნაგვისაგან დროულად დასუფთავება**

**საკანალიზაციო არხებისა და დაბინძურებული წყლების დასუფთავების ხარისხი**

**განახლებადი ენერგიის გამოყენების დონე**

**ქალაქებში ხმაურის დონე**

**ავტომანქანების მოძრაობის ინტენსივობა და ამასთან ერთად ჰაერის დაბინძურება**

***თქვენი აზრით, რას ეფუძნება აღნიშნული კრიტერიუმები?***

***რა არის ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის შედეგი? რა უნდა მოიმოქმედონ მისი შენარჩუნებისა და აღდგენისთვის?***

ბუნება თავისით რეგულირდება. იგი, ბუნებრივი პროცესებითა და კანონებით მიმდინარეობს და მუშავდება გრძელვადიანი ევოლუციური პროცესებით. გარდა ბუნებრივი პროცესებისა, ადამიანმა დიდი ზეგავლენა მოახდინა დედამიწის ჰარმონიის ბალანსის დარღვევაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულს მთელი ისტორიის მანძილზე აკვირდებიან, ბოლო პერიოდში ყოველივე ეს უფრო თვალსაჩინო გახდა.

გაიხსენეთ ატმოსფეროს, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების მიზეზები და განიხილეთ მეგობრებთან ერთად. ახდენს თუ არა გავლენას ეს მიზეზები ცოცხალ არსებებზე?

**როგორც ბუნებრივი, ასევე ტექნოგენური მოვლენები იწვევს ეკოლოგიური ბალანსის დარღვევას.**

**ბუნებრივი კატასტროფები** – მიწისძვრა, ცუნამი, მეწყერი, ტყის ხანძრები, წყალდიდობა, გვალვა, ზვავი და ა.შ. ცოცხალ არსებებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ტყის ხანძრები არღვევს ეკოლოგიურ ბალანსს და პლანეტაზე სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ნახშირბადი და წყლის ციკლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასიცოცხლო პროცესში, ხოლო ტყის ხანძრის შემდეგ ეს პროცესი ირღვევა. ხანძრები ტყის ფონდების ეკოლოგიას და რესურსებს ამცირებს, ტყის ეკოსისტემაში, ნიადაგის ზედა ფენაზე ახდენს გავლენას. დამწვარი და დაბინძურებული ნარჩენები წყალსა და ატმოსფეროს აბინძურებს.

რა შედეგს მოიტანს ჩვენს გარშემო ძლიერი ვულკანური ამოფრქვევა? იმსჯელეთ ჯგუფურად და შედეგი გაუზიარეთ ერთმანეთს.



ტყის ხანძარი

ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, მოსალოდნელი შედეგების მაქსიმალურად შესამცირებლად, ექსპერტები სხვადასხვა იდეებს უზიარებენ ერთმანეთს, გეგმავენ სამომავლო გეგმებს.

უკანასკნელ წლებში, რამოდენიმე ტექნოგენური ხასიათის ეკოლოგიური პრობლემა ადამიანების გულგრილობით, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით, შეცდომების დაშვებისა და ბუნების შეგნებული სწრაფი ცვლილების შედეგად ჩნდება და ეკოლოგიურ სტაბილურობას არღვევს.

რა შეგიძლიათ თქვათ სურათზე აღნიშნულის შესახებ? განიხილეთ მეგობრებთან ერთად, თუ რა ზომებს იყენებენ ოზონის ფენის განადგურების თავიდან ასაცილებლად.





*მოსახლეობის სწრაფი განვითარების შედეგად, ადამიანები სულ უფრო და უფრო მეტად იყენებენ ბუნების რესურსებს საწარმოებისათვის. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, იწვევს დაბინძურებას და ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ორმაგ ზიანს აყენებენ ბუნებას. აღნიშნული ხანდახან ეკოლოგიურ კატასტროფასაც იწვევს.*

*ეკოლოგიური კატასტროფები ომზე უარესია. ამიტომაც, მსოფლიოს ყველა კუთხიდან იკრიბებიან, რათა იბრძოლონ კატასტროფის წინააღმდეგ. ეროვნული ეკოლოგიური პრობლემები რეგიონალურად, ხოლო რეგიონალურ ეკოლოგიური პრობლემები გლობალურ პრობლემად როცა გადაიქცევა ხოლმე, საერთაშორისო თანამშრომლობის ქვეყნები განსაკუთრებულ ზომებს იღებენ. უკვე რამდენიმე ქვეყანისათვის წარმოადგენს აღნიშნული პრობლემა საერთო ინტერესს და ამ პრობლემის მოგვარებისთვის სათანადო ხელშეკრულებები და შეთანხმებები მზადდება. მასშტაბისა და მნიშვნელობისგან გამომდინარე, გარემოს დაცვის საკითხები, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და კონვენციებით რეგულირდება.*

## მსოფლიოს გადარჩენის ერთ-ერთი გზა ერთობლიობაა

*აზერბაიჯანის რესპუბლიკა თვლის, რომ სტრატეგიული მიზანი ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებაა.*

*ჩვენი სახელმწიფო სათანადო საერთაშორისო კონფერენციებს დაესწრო და სახელმწიფო დონეზე შესაბამისი დოკუმენტები მომზადდა და შემუშავდა. ამ მხრივ, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ატარებს კონფერენციებს.*

*მიმდინარე პერიოდში, რამდენადაც აქტუალურია ბუნების სიკეთეთა გამოყენება, იმდენად მნიშვნელოვანია მოსახლეობის განვითარებისათვის ბუნების მუდმივად დაცვა და მისი აღდგენა.*

1. ჩვენი რესპუბლიკა შეუერთდა ქვემოთ ჩამოთვლილ კონვენციებს. ამ კონვენციების შესახებ მოიძიეთ ინფორმაცია და მეგობრებს გაუზიარეთ აზრები.

„გემების მიერ ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ“ – საერთაშორისო კონვენცია;

ჩარჩო კონვენცია „კასპიის ზღვის გარემოს დაცვის შესახებ“

2. დაგეგმეთ თქვენი სკოლის მიმდებარე ტერიტორიის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ზომები. გაარკვიეთ, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ პროექტში.

** კონვენცია - სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება*

## პროექტი

## 4.ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება და აღდგენა

მოიძიეთ ინფორმაცია პროექტზე, ქვემოთ მოცემული თემების მეშვეობით ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებისა და აღდგენის შესახებ

. აირჩიეთ ერთ-ერთი თემა;
. განსაზღვრეთ სამუშაოს ფორმა;
. განსაზღვრეთ გამოსაყენებელი წყაროები;
. განსაზღვრეთ კვლევის შედეგების პრეზენტაციის ფორმა და მოამზადეთ მოხსენება.



**“ნაგვსაყრელების შემცირება”**

არსებული ვითარების გაცნობის შემდეგ, მსოფლიოში ან ჩვენს რესპუბლიკაში ნაგვის შემცირების მიზნით რა ზომებს მიიღებდით? გაუზიარეთ ერთმანეთს მოსაზრებები



**„ხეების დარგვა“**

მთელ მსოფლიოში ან ჩვენს რესპუბლიკაში ხეების დარგვისთვის რა სახის ზომებს იღებდნენ? გაუზიარეთ ერთმანეთს მოსაზრებები



**„წყლის აუზების სუფთად შენახვა“**

მთელ მსოფლიოში ან ჩვენს რესპუბლიკაში რა სახის ზომებს იღებდნენ, რათა შეინარჩუნონ სუფთა წყლის აუზები? გაუზიარეთ ერთმანეთს მოსაზრებები



**"ჰაერის დაბინძურების წინააღმდე ბრძოლა"**

რა ღონისძიებები მიმდინარეობს ჰაერის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად? მოამზადეთ წინადადებები ამ მიზნით.

მთელ მსოფლიოში ან ჩვენს რესპუბლიკაში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რა სახის ზომებს იღებენ? ჩამოაყალიბეთ და გაუზიარეთ ერთმანეთს აზრები



**„თქვენი საცხოვრებელი გარემოს სისუფთავე“**

თქვენი საცხოვრებელი ადგილის ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებისთვის ჩამოაყალიბეთ აზრები და შეადგინეთ გეგმა



**„ჩვენი ქალაქის ტოქსიკური გამონაბოლქვის და გაზისგან (აირისგან) დასაცავად, რა სახის ცვლილებებს განახორციელებდით?“**

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით

# მოსახლეობა და სახელმწიფო



# 1. საზოგადოების განვითარება

XXI საუკუნეს, გარდა სსტ-სა (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები), ინტეგრაციის საუკუნესაც უწოდებენ. მეცნიერებასა და განათლებაში, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში ხშირად ვხდებით სიტყვა „ინტეგრაციას“. ინტეგრაციის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, მოსახლეობის სიცოცხლის განვითარება მის გარეშე შეუძლებელია.

*თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს ინტეგრაცია მოსახლეობის განვითარებაში?*

ადამიანები თავიდანვე ჯგუფურად ცხოვრობდნენ, ტომები და ნათესავები ერთობლივად აქტიურობდნენ და მოიპოვებდნენ სარჩოს. საზოგადოება მუდმივად ვითარდებოდა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ეფექტურ გზებს ეძებდა. მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებამ საზოგადოებაში ინტეგრაცია გამოიწვია.

ადამიანს, რომელსაც სურდა ცხოვრების შეცვლა და გაუმჯობესება, განვითარებისთვის ახალი გზების ძიება დაიწყო. ადამიანმა შრომისა და აღმოჩენების შედეგად ინოვაციებს ჩაუყარა საფუძველი. რაც დრო გადის, მეცნიერება და ტექნოლოგია ერთმანეთთან უფრო და უფრო დაკავშირებული ხდება და ეხმარება ერთი მეორეს.

ინტეგრაცია ისეთი ფაქტორია, რომელიც მეცნიერების, საზოგადოების და ასევე, სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკაზე გავლენას ახდენს. თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრაცია მთელ ქვეყნებს შორის კავშირს მოიცავს, მათ შორის თანამშრომლობის პირობებს ქმნის. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესები უამრავი მკვლევარის აზრით, მხოლოდ დროს არ მოიცავს, არამედ ხელახლად აღმოჩენილ ისტორიის კანონსაც უწოდებენ.

ინტეგრაცია საკუთარ თავს ეკონომიკის სფეროში უფრო ნათლად გამოხატავს.

იმსჯელეთ ინტეგრაციის როლზე ეკონომიკის სფეროში

ისტორიის გაკვეთილიდან ჩამოთვალეთ ფაქტები თქვენთვის ნაცნობ კულტურათა შორის კავშირის შესახებ. ეს კავშირი გაამართლეთ როგორც საზოგადოების განვითარებისთვის ხელშემწყობი ფაქტორი.



დღეს ჩვენს ცხოვრებას ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტების და გლობალური კომუნიკაციის გარეშე ვერ წარმოვიდგენთ. სსტ მოსახლეობის განვითარების ერთ-ერთი დადებითი მხარეა. ის, საჯარო ორგანოებში, არა მხოლოდ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში, არამედ მეცნიერების, განათლების, კულტურის სფეროზეც ახდენს გავლენას, რაც აისახება ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. უამრავმა ქვეყანამ სსტ გამოყენების შედეგად დიდ წარმატებას მიაღწია. მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ სსტ ფართო გამოყენება ხელს უწყობს ქვეყნის ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ამის შედეგად ეხმარება ხალხს სიღარიბის დაძლევაში.

ევროპაში, აშშ-ში, იაპონიაში და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებების განვითარების საფუძველზე შრომის ნაყოფიერება გაიზარდა. განათლებაში, საყოფაცხოვრებო გარემოში, ჯანმრთელობაში, ვაჭრობაში, წარმოებაში, ცხოვრების დონე ახალი ფორმით ჩამოყალიბდა

მსოფლიო ერთობლიობის ინტეგრაციამ ხელი შეუწყო აზერბაიჯანის რესპუბლიკას გაეროსა და ევროპის საბჭოს მსგავს ორგანიზაციებში გაწევრიანებულიყო. დიდი ეროვნული ლიდერის ჰეიდარ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყნის ევროპაში ინტეგრაციის მიზნით კავშირის გაუმჯობესება დაიწყო ისეთ დიდ ქვეყნებთან როგორიცაა: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა.



**გაერო-ს შენობა ნიუ-იორკში**

სომხეთის მიერ აზერბაიჯანის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შედეგად, ქვეყანამ ტერიტორიის დიდი ნაწილი დაკარგა. ოკუპირებული მთიანი ყარაბაღისა და აზერბაიჯანის ისტორიული მიწების მემკვიდრეობის, ათასობით მოსახლეს დევნილისა და ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ფაქტების საერთაშორისო საზოგადოებაში გავრცელება, ჰეიდარ ალიევის ერთ-ერთი მიზანი იყო.

ეს მოვალეობა ჰეიდარ ალიევმა შეასრულა. მოკლე დროში მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოს და ხელისუფლების მეთაურებთან საერთაშორისო შეხვედრებმა, აზერბაიჯანი მათ მშვიდობისმოყვარე ქვეყნად გააცნო.

აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და ნატოს შორის პარტნიორობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბ-ნი ჰეიდარ ალიევის 4 მაისის, 1994 წლის თარიღით ხელმოწერილი „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის ჩარჩოში არსებული დოკუმენტით დაიწყო.

ანვითარებს თუ არა აზერბაიჯანის რესპუბლიკა პოლიტიკურ ინტეგრაციას? ჩამოთვალეთ სხვა ფაქტები ამ ინტეგრაციის შესახებ

ევროპაში ინტეგრაცია, საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება, მსოფლიოში არსებული საფრთხეების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება, უამრავი პროექტის განხორციელებით მიღებული წარმატება იმის მაჩვენებელია, რომ აზერბაიჯანი და დასავლეთ ქვეყნებს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტეგრაცია გრძელდება. ეს ყველა სფეროში, ამავე დროს კულტურასა და განათლებაში იჩენს თავს.

კულტურისა და განათლების სფეროში იუნესკოსთან თანამშრომლობა, აზერბაიჯანის განათლების ბოლონიის პროცესში გაწევრიანების მაგალითია. აზერბაიჯანი გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა: ევროპის საბჭო, ევროკავშირი, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) მჭიდრო ურთიერთობაშია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზურუმის პროექტები იყო განხორციელებული. აზერბაიჯანს ინტეგრაციის გაფართოებაში ეხმარება მისი ბუნებრივი რესურსებიც, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე გააქვს.

აზერბაიჯანი ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთს შორის მნიშვნელოვან გარდამავალ როლს ასრულებს. საერთოდ, მე-20 საუკუნის ბოლო 10 წლიდან დაწყებული ინტეგრაცია, სსტ-ს გამოყენებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე.

როგორ დაასაბუთებდით ამ და სხვა ორგანიზაციების როლს საზოგადოების განვითარებაში?

როგორც ხედავთ, საზოგადოების განვითაებაში ინტეგრაციის როლი შეუდარებელია. დარგთაშორის კავშირები, ურთიერთობები საზოგადოების განვითარებაში ხელს უწყობს და გავლენას ახდენს ახალ აღმოჩენებზე.

1.ახსენით საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საზოგადოების განვითარებაში.
2. ეკონომკიური კავშირები გზას უხსნის განვითარებას – დაასაბუთეთ ეს აზრი.
3. მოიყვანეთ მაგალითები კულტურათშორის ინტეგრაციის შესახებ.
4. დააფიქსირეთ თქვენი აზრი დარგთაშორის ინტეგრაციის საზოგადოებაში განვითარების შესახებ.
5. დაასაბუთეთ სსტ-ს ინტეგრაციის შესაძლებლობები და მისი საზოგადოების ცხოვრებაში გავლენის გზები

## 2. სახელმწიფო ხელისუფლება

ძველად ეგვიპტის სახელმწიფოს მმართველი იყო ფარაონი. ქვეყანაში ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო, რელიგიური და სამოქალაქო ქმედებები ფარაონის მიერ ხორციელდებოდა. ფარაონის უახლოესი მრჩეველი, განათლებული ოფიცერი ჩათი იყო. ჩათი ქვეყნის ეკონომიკურ და სასამართლო ორგანოების საკითხებს მართავდა. როგორც წესი, ამ თანამდებობაზე ფარაონი თავის შვილებს ნიშნავდა.

ვის ეკუთვნოდა ეგვიპტეში ხელისუფლების მართვა?

მოცემული ფაქტების მიხედვით, შეგვიძლია თუ არა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტეში დემოკრატიული მართველობა იყო?

შესაძლოა, რომ თქვენ ეს ფაქტები წინა სასწავლო წლის ისტორიის ან მსოფლმცოდნეობის წიგნიდან გახსოვთ.

ნებისმიერ ჯგუფს, საზოგადოებას მართვა სჭირდება. ამ მხრივ, საზოგადოების მართვაც საჭიროა. საზოგადოების მართვა რთული პროცესია და დიდი უნარია ამისთვის საჭირო. საზოგადოებაში მომხდარი კონფლიქტების მოგვარება, მისი სამართლებრივი თვალსაზრისით გამოსწორება და რეგულირება მთავრობას ეკისრება.

*როგორ ახსნიდით სახელმწიფოს განმარტებას?*

ხელისუფლება შეიქმნა მაშინ, როდესაც ადამიანის საზოგადოება ჩამოყალიბდა. ის ტომების წარმოშობასთან ერთად ჩამოყალიბდა. მისი მოვალეობა ადამიანებს შორის ურთიერთობის გაწონასწორება, სხვადასხვა სახის საქმეების აღსრულებაა: კვების განაწილება, ქორწინებისა და ოჯახური ურთიერთობის დალაგება, შრომის განაწილება და მსგავსი აუცილებელი საქმეების წამოწყება გახდა საჭირო. საკრებულოს, საბჭოს, ტომის მეთაურის და ა.შ. გადაწყვეტილებებით საზოგადო ხელისუფლების ბიუჯეტის შექმნა გახდა აუცილებელი.

*ისტორიის გაკვეთილებიდან გაიხსენეთ რომელიმე ფაქტი და იმსჯელეთ მართველობის შესახებ*

პირველყოფილი წყობილების პერიოდში ადამიანები სიცოცხლისთვის იბრძოდნენ. დროთა განამვლობაში ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოებში გარკვეული წესები და კანონები შეიქმნა, რათა ადამიანების სიცოცხლე სამართლებრივად დარეგულირებულიყო. სახელმწიფო ხელისუფლების განაწილების პრინციპით გარკვეული წესების ფორმირება მოხდა. ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, სახელმწიფო ხელისუფლება სამართლიანი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პრინციპის „ხელისუფლების დანაწილების“ შედეგად არის ჩამოყალიბებული.




***აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებში ჩანს, რომ:***

*III. აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო დანაწილების პრინციპს ეფუძნება*

*საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭო;*

*აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს;*

*სასამართლო ხელისუფლება ეკუთვნის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოს.*

*იმსჯელეთ კონსტიტუციის მოცემული პუნქტის პრინციპის შესახებ.*

*სახელმწიფო ხელისუფლებას ახასიათებს შემდეგი ნიშნები*

| |
|---|
| *უნივერსალურობა – ესე იგი კანონი ყველაზე თანაბრად მოქმედებს* |
| *განხორციელება ხდება სპეციალური აპარატის მეშვეობით* |
| *ატარებს იძულებითი აღსრულების მონოპოლიურ უფლებას* |
| *გააჩნია სუვერენიტეტი** |

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ ხორციელდება. ეროვნული საბჭო მოსახლეობის ხმის მიცემის გზით ფორმირდება. მისი ქმედება და უფლებამოსილება ორი მიმართულებით ხდება: პირველი, ეროვნული საბჭო ზოგად წესებს ადგენს. ამ წესების მიხედვით აღმასრულებელი ხელისუფლება თავის ფუნქციას ასრულებს. მეორე, ეროვნული საბჭო უშუალოდ უმკლავდება ყველანაირ ამოცანას. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს დეპუტატები ხმის მიცემის გზით ირჩევიან.

25 წლის ზემოთ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს

***სუვერენიტეტი**** *– (უმაღლესი ძალაუფლება) – მთავრობა უფლებამოსილია განახორციელოს თავისი საშინაო და საგარეო ფუნქციები, კონსტიტუციის მოთხოვნები და ქვეყნის კანონები ზოგადად მიღებული ნორმების საფუძველზე, ასევე ხალხის უფლება, თავისუფლად განსაზღვროს მართვის ფორმები*



აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭო (მილი მეჯლისი)

შეუძლია გახდეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნულის საბჭოს დეპუტატი. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს ზოგადი და დასრულებული არჩევნების შედეგად 5 წლის ვადით ირჩევა 125 დეპუტატისგან შემდგარი ერთპალატიანი პარლამენტი. საკანონმდებლო ქმედებების გარდა, ეროვნულ საბჭოს მთავრობის ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად, მისი კონტროლიც ევალება. აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წესებსა და კანონებს ამტკიცებს.

კანონებისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებათა კონტროლზე აღმასრულებელ ხელისუფლებას და სამმართველო ორგანოებს კონკრეტული დავალებები არ აკისრიათ.

აღმასრულებელი ხელისუფლება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ეკუთვნის. აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას ვინც არის 35 წელს მიღწეული, ცხოვრობდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, არის მუდმივად მცხოვრები, არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, ამავე დროს, არ არის ნასამართლევი მძიმე დანაშაულისთვის, სხვა ქვეყნების წინაშე არ გააჩნია არანაირი მოვალეობა, აქვს უმაღლესი განათლება, არ აქვს ორი ქვეყნის მოქალაქეობა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა ზოგადი, ერთიანი და დასრულებული არჩევნების ჩატარების შედეგად, 5 წლის ვადით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩეულად ითვლება მაშინ, თუ იგი დააგროვებს ხმების ნახევარზე მეტს.



**აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია**

აღმასრულებელი ხელისუფლება მიღებულ კანონებს, განკარგულებებს, ინსტრუქციებისა და ბრძანებების შესრულებას აკონტროლებს, ამოწმებს და ხელისუფლების მეთაურს სათანადო ანგარიშს უმზადებს. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ზოგად მმართველობას პრეზიდენტი ახორციელებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აღმასრულებელ უფლებამოსილების შესრულების მიზნით მინისტრთა კაბინეტს აყალიბებს. მინისტრთა კაბინეტი პრეზიდენტის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა, პასუხისმგებელია პრეზიდენტის წინაშე და ემორჩილება მას. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები, მინისტრები და სხვა ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მმართველები შედიან.

რაიონული(ქალაქი) აღმასრულებლებიც ემორჩილებიან პრეზიდენტს და საკუთარ ფუნქციებს ასრულებენ.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი საცხოვრებელი რეგიონის აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო საბაჟო კომიტეტი, რელიგიურ ორგანიზაციებთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ცენტრალური, ბანკისა და მსგავს სახელმწიფო ორგანიზაციებთან და კომიტეტებთან აქტიურად თანამშრომლობენ.

*აზერბაიჯანის რესპუბლიკაში რომელ მოქმედ მინისტრებს იცნობთ? მოგვაწოდეთ ინფორმაცია, თქვენთვის ნაცნობი მინისტრის შესახებ.*

სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლების უზენაესობას. სასამართლო ხელისუფლება

შეაგროვეთ ინფორმაცია თქვენი რაიონის აღმასრულებელ ხელისუფლებაზე

სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც იცავს ადამიანებისა და მოქალაქეების, უფლებებს და თავისუფლებას. სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი მიმართულებაა და ამასთან ერთად მის თვისებებსაც ატარებს. ეს თვისებებია:

სახელმწიფო ხელისუფლების უნივერსალურობა, ანუ კანონები ყველას ეხება;

სახელმწიფო ხელისუფლების სპეციალური აპარატის მიერ განხორციელება;

სახელმწიფო ხელისუფლების საზოგადოებაში იძულებითი მონოპოლია;

სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენიტეტი.

სახელმწიფო ხელისუფლების სხვა მიმართულებებთან ერთად, სასამართლო ხელისუფლებაც გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს.

სასამართლო ხელისუფლების ძირითადი და მუდმივი ფუნქციაა სამართლიანობის უზრუნველყოფა. ეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის „სასამართლოებისა და მოსამართლეების შესახებ“ მე-3 მუხლშიც აღნიშნულია. ზემოხსენებული მუხლის მიხედვით აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოსამართლეებისა და სასამართლოების საქმიანობა სამართლიანობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტები - აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1997 წლის 10 ივნისით დათარიღებული „სასამართლოებისა და მოსამართლეების შესახებ“ კანონი, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონი, 1997 წლის 21 ოქტომბრის და 2003 წლის 23 დეკემბრის კანონები, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ახალი სასამართლო სისტემის სტრუქტურის განმსაზღვრელია. ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სასამართლო სისტემა პირობითად ორ ჯგუფად იყოფა:

**სასამართლო ორგანო, რომელიც საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციას ასრულებს;**

ზოგადი სასამართლოები;

საკონსტიტუციო სასამართლო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლო სისტემაში ახალ ორგანოს წარმოადგენს და აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და 2003 წლის 23 დეკემბრის კანონით „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ გათვალისწინებულ საქმეებს. ეს არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო და მისი ვალდებულება კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული.

1.განმარტეთ საზოგადოების მმართველობაში სასამართლო ხელისუფლების როლი.
2. დაწერეთ ესე პრეზიდენტ ილჰამ ალიევის აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი უფლებამოსილების შესახებ.
3. გამოხატეთ თქვენი აზრი აღმასრულებელი ხელისუფლების შესახებ.
4. დააფიქსირეთ თქვენი აზრი ეროვნული საბჭოს უფლებამოსილების საქმიანობის შესახებ.
5.დახაზეთ ხელისუფლების განაწილების სქემა.
6. დაასაბუთეთ, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ფორმის, ამავე დროს ხელისუფლების განაწილება დემოკრატიული განაწილებაა.

## 3.ადამიანთა უფლებები.

70 წელზე მეტია რაც ადამიანის უფლებისა და თავისუფლების შესახებ საერთაშორისო შეთანხმება არსებობს. გარდა ამისა, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ჩარჩო-ხელშეკრულებაში უამრავი კონვენციაა მიღებული.

რისგან შედგება მიღებული შეთანხმებისა და კონვენციის მნიშვნელობა?

რომელი დოკუმენტი იცით, რომელიც იცავს ადამიანთა უფლებასა და თავისუფლებას?

ადამიანს დაბადებიდანვე გარკვეული უფლებები გააჩნია. სახელწიფომ უნდა უზრუნველყოს ეს უფლებები ყველანაირ დისკრიმინაციის გარეშე. ძირითადად დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ურთიერთობების დარეგულირების მისიის აღმასრულებელი საერთაშორისო უფლებების მქონე ადამიანების უფლების და თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების განვითარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ ნორმებს აკომპლექტებს ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია.

*თქვენი აზრით, რისგან შედგება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის საერთაშორისო სამართალის როლი?*

*ადამიანთა უფლებების დაცვის თარიღი პირველად გაეროს წესდებაში დაფიქსირდა. უფრო ადრე სხვადასხვა აქტებისგან შემდგარი (მაგ. მონობის გაუქმება, ეთნიკური უმცირესობების დაცვა და ა.შ), ადამიანის უფლებები პირველად ამ წესდებაში იქნა შეტანილი. აქტში აღნიშნულია, რომ „რასის, სქესის, ენის ან რელიგიის მიუხედავად, ყველა ადამიანის უფლებას უნდა სცე პატივი"დეკლარაცია მიღებულია გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, რეზოლუცია №217 (III), 1948 წლის 10 დეკემბერს „ყველა ადამიანი იბადება*

თანასწორი უფლებებით და ღირსებით“. დოკუმენტი შედგება 30 სტატიისაგან, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები (მაგ. მუშაობის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება და ა.შ). დეკლარაციამ საერთაშორისო ადამიანის უფლებების დაცვაში, ასევე საერთაშორისო სამართლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ადამიანთა უფლებისა და თავისუფლების იურიდიული დოკუმენტის განსაზღვრის მიზნით 1966 წელს ორ კონტრაქტს მოაწერეს ხელი – ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთა-შორისო პაქტი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტი. როგორც ხედავთ, პირველ პაქტში მოცემულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, მეორე პაქტი* ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მონაწილე ქვეყნებისთვის განსაკუთრებული ვალდებულებებია გათვალისწინებული. პაქტში გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულება იმისგან შედგება, რომ ქვეყანამ თავის საზღვრებში არსებული თითოეული მოქალაქის უფლებებს პატივი უნდა სცეს და უზრუნველყოს მისი უფლებების დაცვა. პაქტში მოცემული ვალდებულებების შესასრულებლად ქვეყანამ აუცილებელი საკანონ-მდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ქმედებები უნდა გაითვალისწინოს.

## ადამიანთა უფლებების სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები 4 ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ:

**ზოგად ხელშეკრულებები**

**შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ყველა ძირითად უფლებას შეიცავს. ზოგადი ხელშეკრულებები უნივერსალური და რეგიონალური დონისაა. უნივერსალურ ხელშეკრულებებში „ეკონომიკური, სოციალური და კულტუ-რული უფლებების შესახებ“ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი და „სამო-ქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ 1966 წლის საერთაშორისო პაქტი.**

**ქვემოთ მოცემულია ზოგადი რეგიონალური პაქტი:**

**ადამიანთა უფლებებისა და ძირითადად თავისუფლების დაცვის შესახებ 1950 წლის კონვენცია (ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენცია); ადამიანის და ხალხის უფლებების შესახებ 1981 წლის აფრიკის ქარტია* და ა.შ.**

**განსაკუთრებული ხელშეკრულება**

**წამება, არაჰუმანური, დამამცირებელი ხასიათის მომპყრობის ან სასჯელის შესახებ 1987 წლის ევროპის კონვენცია; წამებისა და დასჯის თავიდან აცილების შესახებ ამერიკის კონვენცია 1985 წელი.**

---

***პაქტი**** – დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო დოკუმენტი
***ქარტია**** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური დოკუმენტი

***სხვადასხვა ჯგუფების დაცვისკენ მიმართული ხელშეკრულებები***
*1952 წლის კონვენცია, ქალების პოლიტიკური უფლებების შესახებ; 1989 წლის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ; 1995 წლის კონვენცია, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დასაცავად.*

***ხელშეკრულებები დისკრიმინაციის საკითხების შესახებ***
*1965 წლის საერთაშორისო კონვენცია, რასის დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ; ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის გაუქმების შესახებ, 1979 წლის კონვენცია და ა.შ*

ადამიანთა უფლებების გარკვეული ნაწილი უკვე ზოგად საერთაშორისო უფლებების ნაწილად იქცა და ნებისმიერი ქვეყნისთვის სავალდებულოა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე.

გაეროს გენერალურ ასამბლეის რეზოლუციები: ამავე დროს ამ რეზოლუციაში მიღებული აქტები, საერთაშორისო კონფერენციების აქტების საზღვრებში მიღებული და მასში არსებული პოლიტიკური დოკუმენტები და ა.შ.

ამ დოკუმენტებში არსებობს რჩევის სახის სტანდარტები ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვისა და კონკრეტული ადამიანების უფლებების ქმედებასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ქვეყნები ცდილობენ დაიცვან ეს სტანდარტები, ზოგ შემთხვევაში თავიანთ კანონმდებლობაშიც შეაქვთ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში და სხვა საკანონმდებლო აქტებში დამტკიცებული ადამიანთა უფლებისა და თავისუფლების დაცვა სახელმწიფო დაწესებულებების მოვალეობაა. ადამიანის უფლების და თავისუფლების დაცვის მიზნით ქვეყანაში დაცვის ფორმის სხვადასხვა მექანიზმები არსებობს. ქვეყანაში, უფლებების დაცვის ახალი, არასასამართლო მექანიზმი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადამიანთა უფლებების დამცველის (ომბუდსმენი - სახალხო დამცველი) ინსტიტუტი შექმნეს. 2001 წლის 28 დეკემბერს „აზერბაიჯანის რესპუბლიკის ადამიანთა უფლებების დამცველის (ომბუდსმენი - სახალხო დამცველი) შესახებ“ კონსტიტუციის კანონი იყო მიღებული. ომბუდსმენი (შეიძლება იყო ერთი ან შედგებოდეს რამდენიმე ჯგუფის წევრისგან), როგორც კონსტიტუციის უფლებამოსილებას შეეფერება, სპეციალური კანონის საფუძველზე პარლამენტის მიერ ირჩევა. ამ ინსტიტუტის ძირითადი მოვალეობაა მოსახლეობის დაცვა სახელმწიფო მართველების უსამართლო ქცევებისგან. ომბუდსმენი ხშირად დაზარალებული მხარესა და მთავრობას შორის ნეიტრალურ ადგილს იკავებს.

ყველა ადამიანი, მიუხედავად მისი რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა მსოფხედველობისა, ეროვნული და სოციალური წარმოშობისა, ქონების, დაბადების და სხვა შემთხვევისგან დამოუკიდებლად, უზრუნველყოფილია ადამიანთა უფლებებითა და თავისუფლებით.

1. იმსჯელეთ თქვენი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტებზე და დააფიქსირეთ თქვენი აზრი.
2. ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ რომელი კონცეფცია და გადაწყვეტილებებია მიღებულია? როგორ ასრულებენ მას ქვეყანაში? ფაქტებით გაამყარეთ პასუხები.
3. მოიტანეთ მტკიცებულება ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დონეზე რეალიზების შესახებ.
4. დაწერეთ ესე - „ადამიანების უფლებები დაცულია"
5. „აზერბაიჯანის რესპუბლიკა ადმიანების უფლებების დამცველია" - დაამტკიცეთ ეს მოსაზრება.

## 4. ადამიანების უფლებების დარღვევა.

თქვენ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ცხოვრობთ, რომლის დამოუკიდებლობა 1991 წელის 18 ოქტომბერს არის აღდგენილი. 1995 წლის 12 ნოემბერს დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი ეროვნული კონსტიტუციაა მიღებულია, მისი 158 მუხლიდან 48-ში შენი, ჩემი, ყველა აზერბაიჯანის მოქალაქის უფლებას და თავისუფლებას ამტკიცებს.

როგორ შეაფასებდით კონსტიტუციის რომელიმე მუხლის დარღვევას და ადამიანების მიმართ რაიმე სახის უსამართლობას?

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით, ყველა მოქალაქე დაბადებიდანვე ხელშეუხებელ, დაურღვეველ, განუყოფელ უფლებასა და თავისუფლებას ფლობს. ამ უფლების და თავისუფლების უზრუნველყოფა მთავრობის უზენაესი მოვალეობაა. კონსტიტუცია ითვალისწინებს ყველას უფლებების დაცვას, დაშვებული მეთოდებითა და საშუალებებით. მთავრობა ყველას უფლებისა და თავისუფლების დაცვას უზრუნველყოფს.

წარმოადგინეთ ფაქტები, რომლებიც ამტკიცებს, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკა ადამიანების უფლებასა და თავისუფლებას იცავს.



მონების წამება

დაბადების შემდგომ ყველა ადამიანი საკუთარი ღირსებითა და თავისუფლების შესაბამისად, თავისუფალი და თანაბარუფლებიანია. ისინი მოქმედებენ გონებისა და სინდისის კარნახით. ადამიანები ერთმანეთის მიმართ ტოლერანტულები უნდა იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა უფლებები, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაცულია. ხელისუფლებები ადამიანების უფლებისა და თავისუფლების დასაცავად ზომებს იღებენ.

*მოიყვანეთ ისტორიული არგუმენტები ადამიანების უფლებისა და თავისუფლების დარღვევის შესახებ.*

ისტორიაში იყო დრო, როცა ადამიანები სოციალური წარმოშობის გამო, რასისა და კანის ფერის, სქესის, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების გამო თანაბარ უფლებიანები არ იყვნენ. ადამიანებს შორის დისკრიმინაცია ადამიანების უფლებების დარღვევას ნიშნავს.

ადამიანების უფლებების დარღვევა კაცობრიობისთვის ერთ-ერთი შემაწუხებელი და დასაფიქრებელი მოვლენა იყო. (თუ გადავხედავთ წარსულს, დავინახავთ, რომ მონობის პერიოდიდან საზოგადოებაში ღარიბების, მონების, ქალების უფლებები დარღვეული იყო. ადამიანებს ამონებდნენ და ამცირებდნენ).

მონობის ისტორია უძველესი წარსულიდან იღებს სათავეს. ისტორიული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის გაცნობის შედეგად დავინახავთ, რომ ადამიანებს ჯგუფებად ყოფდნენ, ძლიერები სუსტებს ანადგურებდნენ, სხვადასხვა მიზეზების გამო ადამიანები მონებად იქცეოდნენ. ისტორიულად ვინც მონად ცხოვრობდა, მათ კუთვნილ სახელსაც უწოდებდნენ „მოლაპარაკე ინსტრუმენტი“, „მონა, რომელიც არ იხედება მაღლა“ და ა.შ

ძველ ეგვიპტეში მონებს ფარაონთან ერთად კრძალავდნენ. მათი რწმენით, ფარაონი როცა ზეცაში ცხოვრებას გააგრძელებდა, მას მონები დასჭირდებოდა. მესოპოტამიაში მონას „მონა, რომელიც არ იხედება მაღლა“ -ს ეძახდნენ. ბაბილონის ხელმწიფე ჰამურაბის კანონების წერისას ადასტურებდა, რომ მონებს არ აქვთ ცნობიერება. ჰამურაპის კანონებშიც ჩანს: თუ მონა თავის პატრონს ეუბნება, რომ „შენ ჩემი პატრონი არ ხარ“, მონის პატრონმა უნდა დაამტკიცოს, რომ ის ტყუის, მონის პატრონს უფლება აქვს მას ყური მოაჭრას.

ისტორიაში ადამიანის უფლების დარღვევის ერთ-ერთი ფაქტი, ბართლომეს ღამის ტრაგედიაა.



ბართლომეს ღამე



დედოფალი ეკატერინე მედიჩი ათვალიერებს მსხვერპლს. მხატვარი ედუარდ დება-პონსანი

**ისტორიის გაკვეთილებიდან გაიხსენეთ რა იყო ბართლომეს ღამის გამომწვევი მიზეზი? როგორ გესმით ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტი?**

პირველი მსოფლიოს ომის (28 ივლისი 1914 – 11 ნოემბერი 1918) დროს 10 მილიონამდე ჯარისკაცი დაიღუპა. ათასობით ადამიანი ლტოლვილად იქცა. 1939 წლიდან დაწყებულ მეორე მსოფლიო ომს მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა. ეს ომი მილიონობით ევროპელი ებრაელისთვის ნამდვილ ტრაგედიად იქცა, წარმოშობისა და რასის გამო ნაცისტებმა მილიონობით ებრაელი დახოცეს.



წარმოადგინეთ ისტორიული ცნობების მიხედვით ადამიანთა უფლებების და მისი თავისუფლების დარღვევის დამადასტურებელი ფაქტები

დღესდღეობით სომხეთ-აზერბაიჯანის მთიანი ყარაბაღის ომის შედეგად იქ არსებული მოვლენები ადამიანის უფლებათა დარღვევის კლასიკური მაგალითია და ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

აზერბაიჯანელების მიმართ მოწყობილი დეპორტაციისა* და გენოციდის ისტორია მიუხედავად

---

• დეპორტაცია - ადამიანების საკუთარი საცხოვრებელიდან იძულებით გადაადგილება

იმისა, რომ ძველია, მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეს პროცესები განმეორებით დაიწყო. სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან 200 ათასზე მეტი აზერბაიჯანელი მათი მუდმივი საცხოვრებელიდან, ისტორიულად მათი კუთვნილი მიწებიდან იძულებით გადაადგილეს.
ზოგადად კი სომხეთის სამხედრო აგრესიის შედეგად 20 ათასზე მეტი აზერბაიჯანელი დაიღუპა, 4866 უგზოუკვლოდ დაიკარგა, 100 ათასზე მეტი ადამიანი დაშავდა. აგრესიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიწები და ტერიტორიებია ოკუპირებული; განადგურდა საცხოვრებელი ადგილები, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ობიექტები, განათლების, ჯანდაცვის, კულტურული დაწესებულებები და სხვა. კონფლიქტთან დაკავშირებული გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან 822-ე, 853-ე, 874-ე და 884-ე რეზოლუციების მიღების მიუხედავად, არც ერთი დღემდე არ აღსრულებულა.




**ხოჯალანის ტრაგედიისადმი მიძღვნილი ძეგლი ”დედის ცრემლები“**

შეგვიძლია თუ არა, ყარაბაღის ომი წარმოვადგინოთ როგორც ადამიანთა უფლებების დარღვევის თვალნათელი მაგალითი?

ადამიანის უფლების და თავისუფლების დარღვევის ფაქტები ისტორიულად მრავალგზის მომხდარა და, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. ამ ყველაფრის თავიდან ასაცილებლად საერთაშორისო უფლებები და კანონები განისაზღვრა.

1. ხოჯალის ტრაგედია, ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტად შეაფასეთ და ამის მიხედვით მოამზადეთ პრეზენტაცია.
2. დააფიქსირეთ თქვენი აზრი ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე.
3. მოამზადეთ პრეზენტაცია ადამიანთა უფლებების დარღვევის ისტორიული ფაქტების შესახებ.
4. წაკითხული წიგნიდან ან ნანახი ფილმიდან მოიყვანეთ მაგალითები მონობის შესახებ
5. „ხანდახან ადამიანის უფლება და თავისუფლება იხრჩობა“ - ამ სათაურის მიხედვით, მოამზადეთ პრეზენტაცია.

# 5 ფინანსები

ძვირფასო მეგობარო, როგორც ყველას, შენც გაქვს მიზნები. ამ მხრივ, პირად მიზნებზე იფიქრე. ოღონდ, ამავდროულად, ფინანსური მიზნები არ დაგავიწყდეს. პირადი მიზნების მისაღწევად უფრო კარგი განათლება, უმაღლესი სასწავლებელში ჩარიცხვა, ფინანსური მიზნებისთვის კი კომპიუტერი, წიგნი, ტანსაცმელი და სხვა ნივთების ყიდვისთვის ფულის შეგროვება დაგჭირდება.

თქვენი აზრით, რა როლს ასრულებს ფინანსები ჩვენს ცხოვრებაში?

გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ტაბულა, რათა ჩამოთვალოთ თქვენი მიზნები

| პირადი მიზნები | ფინანსური მიზნები |
|---|---|
| | |

მეცხოველეობით დაკავებული ადამიანი ხორცს – ბამბაზე, მატყლს – რძეზე, სიმინდზე, ბოსტნეულზე და ა.შ ცვლიდა. ამ ჩახლართული და რთული პროცესის მოსაგვარებლად ადამიანებმა გამოიგონეს ფული. ამდენად, მას მერე ყველას დასჭირდა ფული.

ზოგი ადამიანი ბევრ ფულს შოულობს, ზოგი კი უფრო ნაკლებს. ადამიანების გარკვეული ნაწილის უფრო ბევრ ფულს ხარჯავს, სხვები კი ეკონომიურები არიან. ზოგი ადამიანი შემოსავლის ნაწილს ინახავს, ზოგი კი ფლანგავს, ვალსაც კი იღებენ. თქვენი აზრით, თვლით თუ არა თქვენ ფინანსურ ხარჯებს სწორად?

შეავსეთ ტაბულა და თქვენი ფინანსური ხარჯები გამოთვალეთ.

| თარიღი | შემოსავლის წყარო და რაოდენობა | მე რა ვიყიდე? | რა ღირდა? | ეს სურვილი იყო თუ საჭიროება? |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| ჯამი | | | | |

თქვენ ყოველდღიური გამოთვლით ცხოვრებაში დიდ დანაზოგებს გააკეთებთ.

აღმოაჩინეთ ფინანსური სირთულეების გადალახვის გზები სკოლიდანვე.

რა არის ფინანსები? რას ფიქრობთ ფინანსური სისტემის განხორციელების დროს?

ფინანსები ეკონომიკის მიმართულებად ითვლება. ფინანსები ფულის შეგროვებას, ფულის ვალად გაცემას, ფულის დახარჯვას, ბიუჯეტის მომზადებასა და მსგავს პროცესებს შეიცავს. ეს პროცესი, ძირითადად, კერძო პირების ბანკში ანაბრის განთავსებით ხორციელდება. ბანკი ფულს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მოხმარებისა და ინვესტიციის მიზნით კრედიტად (ვალად) აძლევს და მისგან პროცენტებს ითხოვს. ბანკის სექტორი კრედიტის უზრუნველყოფით მუშაობს. ფინანსები სხვადასხვა სახის ღირებულების ქაღალდების ბირჟაზე ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობებს ასრულებს. ცენტრალური ბანკი ფულის მოცულობას აკონტროლებს.

სახელმწიფოს ფინანსების მართვის, დაცვის და მსგავსი უამრავი ფუნქცია აქვს. საზოგადოების განვითარებისა და მართვის დარეგულირების მიზნით სახელმწიფო შემოსავლები, ხარჯები, ფინანსების ურთიერთობები ვლინდება. აზერბაიჯანის რესპუბლიკა საკუთარი ხარჯებისა და ფინანსების რეგულირებას ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით ასრულებს.

**შეაგროვეთ ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს შესახებ და მოამზადეთ პრეზენტაცია.**

ფინანსები სხვადასხვა ფულადი თანხების ფონდების ფორმირებისა და მოხმარების მიზნით არსებული ეკონომიკურ ურთიერთობას შეიცავს. ამ ფულადი თანხის ფონდი დეცენტრალიზებულ და ცენტრალურ ფონდებად იყოფა.

დეცენტრალიზებული ფულადი ფონდები საწარმოს ფონდებია, სადაც დანაზოგის ფონდი, სამომხმარებლო და სარეზერვო ფონდები შედის. დანაზოგის ფონდის თანხა საინვესტიციო დაფინანსებებზე და ა.შ იხარჯება. სამომხმარებლო ფონდი აუცილებლობისა და ჭარბი საქონლის ღირებულების შესაბამისად ყალიბდება. სარეზერვო ფონდი საქონელის ღირებულებით დგინდება, საიდანაც დროებითი საჭიროებებისთვის თანხები ირიცხება.

ცენტრალიზებული ფულადი თანხების ფონდი მთავრობის დონეზე ფორმირდება. ისინი მთავრობის სხვადასხვა ორგანოების ბიუჯეტს და ბიუჯეტს გარდა ფონდებს მოიცავენ.

საფინანსო ურთიერთობები ხშირად ფულის ფორმით გამოიხატება, ამ თვალსაზრისით შემოსავლების დაყოფა და თავიდან დაყოფის უვარგისობა ფინანსებთან დაკავშირებით, სხვა ეკონომიკური კატეგორიის განვითარების აუცილებლობას უზრუნველყოფს. მაგალითად, ფასი, ხელფასი, საგადასახადო პროცენტი და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ჩვენს ცხოვრებას ფინანსების გარეშე ვერ წარმოვიდგენთ. მიუხედავად ამისა, შეეცადეთ, მოერიდოთ ზედმეტ ფინანსურ ხარჯებს.

დააფიქსირეთ თქვენი აზრი ფინანსების შესახებ.

**1. მოამზადეთ პრეზენტაცია ფინანსების შესახებ;**
**2. დაადგინეთ თქვენი ყოველკვირეული ხარჯების სია და ხარჯები გამოთვალეთ.**
**3. დაწერეთ ესე - „მე რომ ფინანსთა მინისტრი ვიყო“**

* **ინვესტიცია** - შემოსავლებისა და სარგებელის მიღების მიზნით, ფინანსური მხარდაჭერაა ყველა სახის საქმიანობისთვის

** **ბირჟა** - საბითუმო გაყიდვების ბაზარია, სადაც იყიდება ნედლეული, საქონელი, ან ფასიანი ქაღალდები.

## 6. დაზღვევა

*ცხოვრება ხანდახან მოულოდნელ საფრთხეებს გვიქმნის ხოლმე. ეს საფრთხე ჩვენს ჯანმრთელობას, საქონელს, ქონებას აზარალებს. გვიჭირს მიღებული ზარალის თავიდან აცილება. მეგობრების დახმარება ზოგჯერ საკმარისი არაა. ამ ზარალების თავიდან ასაცილებლად ჩვენთვის სხვა სახის დახმარებაა საჭირო.*

*სურათში მოცემული მოვლენებისგან რა იქნება ჩვენთვის სასურველი დახმარება*





ადამიანები უსაფრთხო სიცოცხლისთვის და მოულოდნელი მოვლენებისგან ზარალის შესამცირებლად ეძებენ გამოსავალს. ამის საუკეთესო გამოსავლად ცხოვრების დაზღვევა ითვლება.

თქვენი აზრით, მსგავსი მოულოდნელი მოვლენების თავიდან ასაცილებლად რისი გაკეთება შეგვიძლია? გვაქვს თუ არა გამოსავალი? რა იცით იმ ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც პასუხს აგებენ ამ მოვლენებზე?

საფინანსო სისტემის შემადგენლობაში არსებული დაზღვევა მიყენებული ზარალის თავიდან აცილების მიზნით ფულადი თანხის ფონდების შექმნისა და გამოყენების პროცესია.

ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში გერმანიის ქალაქ ბრუგეში ქონების დაზღვევისთვის „დაზღვევის პალატა“ შეიქმნა. პირველი სადაზღვევო კომპანია 1424 წელს გენუაში დაარსდა.

დაზღვევა საზოგადოების სოციალურ ეკონომიკური ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს და ამასთან ერთად მატერიალური კეთილდღეობისა და საკუთრებრივი რისკების გარანტიად ითვლება. მოულოდნელი და საგანგებო მოვლენებისას ქონების ინტერესებს იცავს და სახელმწიფოს საფინანსო სისტემის გაძლიერებაზე ახდენს გავლენას. ის არამხოლოდ ზარალის დროს ბიუჯეტს მიყენებულ ზარალს უნაზღაურებს, არამედ გრძელვადიანი ინვესტიციების წყაროდაც იქცევა ხოლმე.




*გამოთქვით თქვენი აზრი ნახატზე გამოსახულ ნივთებზე*

„დაზღვევის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის საფუძველზე დაზღვევა ორი ძირითადი სფეროსგან შედგება: სიცოცხლისა და ქონების დაზღვევა. დამზღვევი კომპანიები ამ სფეროსგან ერთს-ერთს ან ორივეს იყენებენ.

სიცოცხლის დაზღვევა – ამ ტიპის დაზღვევით დაზღვეული პირი ჯანმრთელობის, მუშაობის უნარის დაკარგვის, სიბერის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან გარდაცვალების დროს ფუნქციონირებადი დაზღვევაა. სიცოცხლის დაზღვევის მიხედვით, ხელშეკრულების პერიოდის დასრულებისთანავე ან დაზღვევისთანავე თანხას დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი წესითა და პირობებით დაზღვეულს ან მის მემკვიდრეს ურიცხავენ, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები დიდი ხნის პერიოდით ფორმდება.

ქონების დაზღვევა დაზღვეულს მიყენებული ზარალის, ქონებისა და სხვა ინტერესებით გათვალისწინებული რისკების დაზღვევაა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს 1999 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით პირველად მიიღეს კანონი „დაზღვევის შესახებ“. ამ კანონით ქვეყანაში სადაზღვევო საქმე იურიდიულ ბაზას ფლობს, რამაც ეროვნულ სადაზღვევო ბაზრის შექმნას შეუწყო ხელი.

„დაზღვევის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის საფუძველზე დაზღვევა ორი ძირითადი სფეროსგან შედგება: სიცოცხლისა და ქონების დაზღვევა. დამზღვევი კომპანიები ამ სფეროებიდან ერთს-ერთს ან ორივეს იყენებენ.

**სიცოცხლის დაზღვევა – ამ ტიპის დაზღვევით დაზღვეული პირი ჯანმრთელობის, მუშაობის უნარის დაკარგვის, სიბერის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან გარდაცვალების დროს ფუნქ-**

ციონირებადი დაზღვევაა. სიცოცხლის დაზღვევის მიხედვით, ხელშეკრულების პერიოდის დასრულებისთანავე ან დაზღვევის მოვლენის დაწყებისთანავე თანხას დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილი წესითა და პირობებით დაზღვეულს ან მის მემკვიდრეს ურიცხავენ, სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებები დიდი ხნის პერიოდით ფორმირდება.



არასასიცოცხლო დაზღვევა დაზღვეული მოვლენების დროს დაზღვეულს მიყენებული ზარალების ანაზღაურებით მისი პასუხისმგებლობების, ქონებისა და ინტერესებით გათვალისწინებული რისკების დაზღვევაა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს 1999 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით პირველად მიიღეს კანონი „დაზღვევის შესახებ“. ამ კანონით ქვეყანაში სადაზღვევო საქმე იურიდიულ ბაზას ფლობს, რამაც ეროვნულ სადაზღვევო ბაზრის შექმნას შეუწყო ხელი.

1. ჩამოთვალეთ ნებაყოფლობითი და სავალდებულო დაზღვევის მსგავსი თვისებები.
2. თქვენი აზრით, რას წარმოადგენს „დაზღვევის შესახებ“ მიღებული კანონის მნიშვნელობა?
3. რომელი სადაზღვევო კომპანიის შესახებ გსმენიათ? თქვენთვის ნაცნობი სადაზღვევო კომპანიის შესახებ მოამზადეთ პრეზენტაცია.
4. დაწერეთ ესე დაზღვევის შესახებ.

| | |
|---|---|
| სიცოცხლის დაზღვევა | |
| ქონების დაზღვევა | |
| სამედიცინო დაზღვევა | |
| კატასტროფული შემთხვევისგან დაზღვევა | |

5. დაზღვევის შესახებ ინფორმაციები შეიტანეთ ტაბულაში ჯანმრთელობის დაზღვევა

# 7. საგადასახადო

პირველი ცნობილი საგადასახადო სისტემა ეგვიპტეში იყო. ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ფარაონი მოსახლეობისგან წელიწადში ორჯერ გადასახადებს აგროვებდა. შემდეგ, აქემენიდების იმპერიის დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 500 წელს დარიოს პირველის მიერ განხორციელდა გადასახადების სტაბილურად ამოღება.

თქვენი აზრით, რისთვისაა საჭირო გადასახადების შეგროვება?

*ისტორიის გაკვეთილიდან მოიყვანეთ მაგალითი რომელიმე ქვეყნის საგადახადო სისტემის შესახებ*

გადასახადი შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფოს ძლიერების წყაროდ. ყველა სახელმწიფომ თავისი მოსახლეობის კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს. სახელმწიფოს შემოსავლები და ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტს მოიცავს. სახელმწიფოს ინტერესებში ბიუჯეტის შევსება შედის. ბიუჯეტის შემოსავლის ერთი ნაწილი გადასახადებს მოიცავს და ქვეყნის ფინანსური ხარჯებისთვის გამოიყენება. საგადასახადო სისტემები, გარკვეული წესების საფუძველზე, გადასახადების სახეების მიხედვით, სხვადასხვა პროცენტისაგან შედგება. გადასახადები ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებასა და ქვეყნის განვითარებას ეხმარება.

გადასახადის კანონიერებისა და სახელმწიფო ფასების დარეგულირებისთვის 1991 წელს აზერბაიჯანში მთავარმა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ დაიწყო ფუნქციონირება. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 2000 წელის 11 თებერვალს გაუქმდა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია. მის მოვალეობაში ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისა და სხვა ფინანსური შემოსავლების თავის დროზე და მთლიანად შეგროვების უზრუნველყოფა შედის. ამისთვის სახელმწიფო კონტროლის აღმასრულებელი ცენტრალური სახელმწიფო ორგანო – გადასახადების (შემოსავლების) სამინისტრო შეიქმნა.



***აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განსაზღვრულია და იხდიან ქვემოთ მოცემულ გადასახადებს:***

*— სახელმწიფო გადასახადები;*

*— ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადები;*

*— ადგილობრივი გადასახადები (მუნიციპალური გადასახადები);*

*როცა ვამბობთ ფრაზას – სახელმწიფო გადასახადები, საგადასახადო კოდექსით დადგენილი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გადასახდელი გადასახადები იგულისხმება.*



ადრე ასე ითვლიდნენ და იხდიდნენ გადასახადებს

როცა ვამბობთ ავტონომიური რესპუბლიკის გადასახადები, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის წესებით დადგენილი და ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადახდილი გადასახადები იგულისხმება.

როცა ვიძახით ადგილობრივი გადასახადები (მუნიციპალური გადასახადები) საგადასახადო კოდექსში სათანადო წესებით დადგენილი, მუნიციპალური გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადახდილი გადასახადები იგულისხმება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შეიძლება დაწესდეს სპეციალური საგადასახადო რეჟიმი. სპეციალური საგადასახადო რეჟიმში ვგულისხმობთ, კონკრეტული წესით, გარკვეულ პერიოდში გადასახადების გამოთვლასა და გადახდას.

*ქვემოთ მოცემულია სახელმწიფო გადასახადები:*

ფიზიკური პირების შემოსავლის გადასახადები:
იურიდიული პირების მოგების გადასახადები;
იურიდიული პირების ქონების გადასახადები;
იურიდიული პირების მიწის და სხვა გადასახადები.

გადასახადების გადახდას აზერბაიჯანის მოქალაქეებისთვის კონსტიტუცია აწესებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გადასახადების გადახდას ეროვნული ვალუტით ანგარიშობენ და იხდიან. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მიხედვით, გარკვეული გადასახადების და სხვა სახელმწიფო გადასახადების მგადახდა ყველა პიროვნების მოქალაქეობრივი ვალია. უსაფუძვლოდ და უკანონოდ დაწესებული გადასახადების გადახდას ვერავინ ვერავის დააძალებს.

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით გადასახადების გადახდის აუცილებლობაზე ისაუბრეთ.
2. მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე „გადასახადები სახელმწიფოს შემოსავლის წყაროა“.
3. ჩამოთვალეთ გადასახადების თავიდან აცილების უარყოფითი მხარეები.
4. დააფიქსირეთ თქვენი აზრი – „გადასახადები ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია“
5. მოიძიეთ ინფორმაცია საგადასახადო (შემოსავლების) სამინისტროების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

# ჩემი სულიერი სამყარო



## 1. როგორ ვაყალიბებთ ურთიერთობას?

კომუნიკაცია სხვადასხვა საშუალებებით ხორციელდება. იგი, როგორც ფაქტორი, მოიცავს შემდეგ კითხვა-პასუხსა და მოსაზრებებს.

რისი გულისთვის შედიან ადამიანები კომუნიკაციაში?

რა არის ადამიანთა შორის ურთიერთობების ზოგადი მახასიათებელი?

კომუნიკაცია ადამიანთა შორის ურთიერთგაგებას გულისხმობს. ადამიანთა შორის ურთიერთობები კომუნიკაციის პროცესში ყალიბდება და ვითარდება.

ფსიქოლოგები ურთიერთგაგებას ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფად ყოფენ.

ფორმალური ურთიერთობა გარკვეული წესებითაა შეზღუდული. „მასწავლებელი-მოსწავლე“, „დირექტორი-მასწავლებელი“, „მთავარი ექიმი-ექთანი“, „განყოფილების უფროსი-მეცნიერი“ და სხვა. მათ შორის არსებული ურთიერთობები ფორმალური ხასიათისაა. არაფორმალური ურთიერთობა ოფიციალური წესით არ იზღუდება. მსგავსი ურთიერთობები მეგობრების, ამხანაგების, ნათესავების, მშობლების და სხვებს შორის არსებული ურთიერთობებია. თუმცა, ნებისმიერ დაწესებულებაში ფორმალური ურთიერთობა არაფორმალურ ურთიერთობასაც მოიცავს. ხშირ შემთხვევაში მსგავსი ურთიერთობები სიმპათიის* მიხედვით ყალიბდება.





*ვისთან გაქვთ ურთიერთობა კლასში? რა არის ამის მიზეზი? რაში ხედავთ ზოგად თვისებას?*

ადამიანების მოთხოვნილებები, ინტერესები, სურვილები, სოციალური მხარეები, პოტენციური შესაძლებლობები, მსოფლმხედველობა, შრომისმოყვარეობა, მიმდევრობა, კომუნიკაციის კულტურა და სხვა, მათ ერთმანეთთან აახლოებს.

---

* *სიმპათია - კეთილგანწყობილება, შინაგანი სწრაფვა ვინმესადმი*

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ხანდახან ტემპერამენტით ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათის მქონე ბავშვები უკეთ ამყარებენ ურთიერთობებს.

ფსიქოლოგების აზრით, ტემპერამენტის 4 ტიპი არსებობს: სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი. თქვენს მეგობრებთან ერთად ჯგუფში გამოარჩიეთ ამ ტემპერამენტის ტიპების მქონე ადამიანები და ქვემოთ მოცემულ კითხვებს გაეცით პასუხი:

- რომელი ტემპერამენტის ტიპები იცით და რომლებთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ? გამოხატეთ აზრები ჯგუფურად

***სანგვინიკი***



*- ამ ტიპის ადამიანში: გრძნობები და განცდები ადვილად აღმოცენდება, მაგრამ მალე გადაივლის ხოლმე. მისი გრძნობები არაა ღრმა და მტკიცე. იგი ოპტიმისტურადაა განწყობილი, უფრო კარგს მოელის, ვიდრე ცუდს. ასევე ცხოვრებაშიც ძირითადად კარგ მხარეებს ამჩნევს. ადამიანის მიმართ უფრო სიმპატიითაა განწყობილი, ვიდრე ანტიპატიით. მისთვის უცხოა გულჩათხრობილობა. სანგვინიკი მოძრავი და ენერგიული ადამიანია. მისი მოძრაობები და ჟესტები სწრაფია. ემოციურობის გარდა, ისინი მხიარულობიდან მოწყენილობაზე სწრაფად გადადიან. ამ ტიპის ადამიანები ზეგავლენის ქვეშ ადვილად ექცევიან.*

***ქოლერიკი***



*ამ ტიპის ადამიანები უკიდურესად სასტიკი და მოუთმენლები არიან. დაუყოვნებლივ შეუძლია სათანადო კითხვაზე რეაგირება. ამ ხასიათის გამო, ხშირად შედიან კონფლიქტში სხვებთან. როგორც წესი, მოუთმენელი, ჯინიანები არიან; ჯიუტები არიან, სანგვინიკთან შედარებით, მათი ინტერესები სტაბილური და მტკიცეა, დაწყებული საქმე ბოლომდე მიჰყავთ. ნებისმიერი პრობლემის არსს არკვევენ, ძალიან ადვილად გამოდიან რთული სიტუაციიდან. ამ ტიპის ადამიანები ერთგულები არიან, ახლობლების მიმართ თბილად არიან განწყობილნი, მათთვის გარემოს შეცვლა ძალიან რთულია და დიდი ხანი სჭირდებათ ახალ გარემოსთან შესაჩვევად.*



### *ფლეგმატიკი*

*ამ ტიპის ადამიანი არის: მშვიდი, გულგრილი, დინჯი, მისი წონასწორობიდან გამოყვანა ძნელია. ფლეგმატურ ადამიანში გრძნობების გამოწვევა რთულია. გრძნობები აღმოცენდება ნელა და გვიან, თუმცა სანგვინიკისგან განსხვავებით ეს გრძნობები ღრმაა და დიდხანს არ გაივლის. სანგვინიკის მსგავსად ცხოვრებაში და ადამიანში უფრო დადებითს ხედავს და ეძებს. ოპტიმისტია: ფლეგმატიკს არ უყვარს თავისი გრძნობების გამომჟღავნება, ამიტომ გარეგნულად იგი მაშინაც კი ცივი და გულგრილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც ძლიერ გრძნობას განიცდის.*



### *მელანქოლიკი*

*ამ ტიპის ადამიანი წყნარი, მაგრამ მგრძნობიარეა. ისინი არაფრის მიმართ არ არიან გულგრილნი. ამ მიზეზით ურთიერთობაში პატარა უყურადღებობაც სწყინთ. პატარა უსიამოვნო მოვლენას დიდი ხანი ვერ ივიწყებენ. ამ უსიამოვნო მოვლენას დიდი ხანი ტვინში ატრიალებენ, აწონ-დაწონიან და დიდი ხანი უხასიათოდ არიან. ამ ტიპის ადამიანები თავიანთ უნარებს არ აფასებენ. საკუთარ თავს აკრიტიკებენ. ზუსტად ამ მიზეზით, მათ ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ მიყავთ.*

ასაკის მატებასთან ერთად, ყველა ჩვენგანის ორგანიზმში მიმდინარეობს ცვლილებები. ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური ცვლილებები თქვენს ხასიათზეც აისახება. ზოგიერთი თავისი ქცევებით გამოხატავს ცვლილებას, ზოგიერთს ემატება ძალა და ენერგია, ეცვლება გარეგნობა.

თუმცა არ დაგავიწყდეთ, რომ ასაკის მატების პერიოდი გარდატეხის პერიოდია. თქვენი ინტერესები ჯერ არ არის ჩამოყალიბებული და ამიტომ, სხვადასხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ფრთხილად იყავით და შეეცადეთ მათი გავლენის ქვეშ არ მოხვდეთ.

არ დაგავიწყდეთ, რომ უფროსებთან ურთიერთობისას ფრთხილად უნდა ვიყოთ, როცა ვიგრძნობთ, რომ მათთან თანამშრომლობისთვის მზად ვართ, ასევე, თქვენს თანატოლებთან ურთიერთობისას უნდა მოვერიდოთ არასასიამოვნო მოვლენებს.





*თუ გინდათ, რომ საკუთარ თავს დაუმეგობრდეთ, მაშინ პერიოდულად საკუთარი ქცევები გააანალიზეთ.*

ადამიანებს შორის ურთიერთობის კულტურა მთავარ როლს ასრულებს. სიკეთე, მოსმენის კულტურა, ტოლერანტობა, პატივისცემა, თავაზიანობა, ემპათიის უნარი კულტურის საფუძველია.

ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობისას ძირითადად ერთმანეთს ავსებენ, ხოლო ზოგ შემთხვევაში კონფლიქტებზე მიდიან.

*გაიხსენეთ თუ რა უნდა მოიმოქმედო კონფლიქტის დროს? ჩამოთვალეთ მისი გამომწვევი მიზეზები*

არა მხოლოდ სკოლის დირექტორთან, კლასის დამრიგებლებთან და მშობლებთან, არამედ კლასელებთან, ახლო ნათესავებთან, თანატოლებთანაც უნდა გამოვავლინოთ კომუნიკაციის კულტურა.

1. ადამიანებს შორის გაჩენილი კონფლიქტის მართვის არსებული გზებიდან ერთ-ერთი დაპირისპირების გაფართოების გზაა. რის შედეგად ჩნდება დაპირისპირებები და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რათა არ გაჩნდეს დაპირისპირება?

2. ზაური და ჰასანი უპირისპირდებიან ერთმანეთს. მათი დაპირისპირება ჩხუბში გადაიზარდა. ჰასანის მამა მოვიდა და ზაურის შეჩერებას ცდილობდა. თქვენი აზრით, ის სწორად მოიქცა? განმარტეთ თქვენი მოსაზრება

**თანაგრძნობა – ეს არის უნარი, როდესაც საკუთარ თავს სხვის ან ცხოველების ადგილას აყენებ, გრძნობ და უზიარებ მათ მწუხარებას.*

## 2. ადამიანთა შორის ურთიერთობა

ექსპერტები თვლიან, რომ ადამიანების ტვინი დაბადებისას თეთრ ფურცელს ჰგავს. ხოლო, რაც დრო გადის ერთი მშობლების შვილებიც კი სხვადასხვა ხასიათის მქონენი ხდებიან, ადამიანების მიმართაც მათი ურთიერთობაც განსხვავდება. ადამიანთა ნაწილი გენიოსები არიან, ნაწილიც უწიგნური.

თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

ადამიანთა შორის ურთიერთობის ზოგადი თვისებები რისთვისაა საჭირო?

როგორც იცით, ადამიანები ხასიათების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებიან. „ცუდი ადამიანები“ და „კარგი ადამიანებიც“ კი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ხასიათით.

ადამიანების ერთმანეთის მიმართ თავსებადი ხასიათი მეგობრობის, თანამგზავრობის, სასიყვარულო გრძნობების მიზეზად იქცევა ხოლმე.

ადამიანების ხასიათის განსხვავებასთან ერთად, მათი სხვა ადმიანების მიმართ ურთიერთობაც განსხვავებულია.

ადამიანების ზოგიერთი თვისებების გათვალისწინებით მათი დაჯგუფებაც შესაძლებელია.



| კოლექტივისა და სხვა ადამიანების მიმართ |
|---|
| პასუხისმგებელი, გულგრილი, მზრუნველი, მოკრძალებული |

| შრომითი ურთიერთობა |
|---|
| შრომისმოყვარე, შრომისუნარიანი, ზარმაცი |

| საკუთარ თავთან ურთიერთობა |
|---|
| ამპარტავანი, ამბიციური, ეგოისტი. |

| ნივთებთან ურთიერთობა |
|---|
| სისუფთავის მოყვარული, ბინძური |

ისაუბრეთ ბავშვობიდან დღემდე თქვენს ხასიათში და ადამიანების მიმართ ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებებზე.

*ადამიანების ერთმანეთის მიმართ ურთიერთობის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ოჯახი, ბაგა-ბაღი, სკოლა და ზოგადად საზოგადოება.*

ადამიანების ერთმანეთის მიმართ ურთიერთობის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ოჯახი, ბაგა-ბაღი, სკოლა და ზოგადად საზოგადოება.

ადამიანების გრძნობები განსხვავებული და მრავალფეროვანია. და ესეც გარშემო მყოფი ადამიანების ურთიერთობას განასხვავებს ერთმანეთისაგან.

მაღალი გრძნობები ადამიანის მაღალი განვითარების მაჩვენებელია. ეს გრძნობები შინაარსობრივად ყველაზე მდიდარი გრძნობებია. აქ შედის მორალური, ზნეობრივი და ესთეტიკური გრძნობები.

ადამიანთა შორის ურთიერთობებში ყველამ თავისი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს. „პასუხისმგებლობა"-ში ვგულისხმობთ გადაწყვეტილებებზე, ქცევებსა და მოქმედებებზე პასუხისმგებლობას. თუ მეგობრებს, ამხანაგებს შორის ურთიერთობა გაცივდება, ეძიეთ მისი გადაჭრის გზები.

პრობლემური საკითხების გადაჭრის 6 ნაბიჯი:

| **გაარკვიეთ საჭიროებები და მოთხოვნები** |
|---|
| **თქვენ რა გინდათ? რა გჭირდებათ თქვენ ნამდვილად?** |

| **გაარკვიეთ პრობლემა** |
|---|
| **რისგან შედგება პრობლემა?** |

| **იფიქრეთ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზების შესახებ** |
|---|
| **რომელი გზით შეგვიძლია გადავჭრათ პრობლემა?** |

| **შეაფასეთ გადაწყვეტილება** |
|---|
| **ამას როგორ მივაღწევ?** |

| **იპოვეთ გადაწყვეტილების ყველაზე კარგი გზა** |
|---|
| **პრობლემა გაირკვა. ხარ თუ არა კმაყოფილი გადაწყვეტყვეტილებით?** |

| **შეამოწმეთ გადაწყვეტილების შედეგი** |
|---|
| **შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრობლემა გაირკვა?** |

შეეცადეთ მუდმივად კულტურული კომუნიკაცია დაამყაროთ. რადგან კულტურული კომუნიკაციის დროს არავინ არ მცირდება, არავის არ სწყინს, არავის ელახება ავტორიტეტი.

**1. დააჯგუფეთ და დააწყვილეთ თქვენი კლასელები მათი ხასიათის მიხედვით.**

**2. როცა მეგობარს ირჩევთ, რა თვისებებს ანიჭებთ უპირატესობას?**

| *ზოგადი თვისება* | *რისთვისაა საჭირო?* |
|---|---|
| | |

## 3. მოვალეობები და პასუხისმგებლობები

ყოველ დილას სკოლაში გეჩქარებათ. თუ საშინაო დავალება არ გაქვთ შესრულებული, ეს ამბავი მთელი დღე გაწუხებთ. რა თქმა უნდა, ხშირად ეს თქვენი პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს. როგორც მოსწავლეს გაკვეთილების სწავლის გარდა, თქვენ სხვა მოვალეობები და პასუხისმგებლობებიც გაკისრიათ.

თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში მოვალეობა და პასუხისმგებლობა?

როგორც ვიცით, ადამიანები ერთმანეთის დახმარებით მუშაობენ და აკეთებენ საქმეს. ამის შედეგად ერთმანეთის დახმარებით საკუთარ ცხოვრებისეულ და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ. თუ დააკვირდებით, ნახავთ, რომ ადამიანის სხეულის ყველა ნაწილი უნიკალურ სამუშაოს ასრულებენ, ამავე დროს სხვა ნაწილის ქმედებებითაც სარგებლობენ. ანუ, ერთი ნაწილი მეორე ნაწილის ქმედებას ეხმარება, თუ ადამიანის ორგანიზმში ყველა ნაწილი მხოლოდ საკუთარ ფუნქციებს შეასრულებს, სისტემატურობა დაირღვევა. წარმოიდგინეთ, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ქმედებები საზოგადოების ერთობლივ ქმედებას ეხმარება. ამ დროს თითოეული საკუთარ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას აცნობიერებს. ანუ, ადამიანს საკუთარ მოვალეობებს საზოგადოების სარგებელის მიხედვით უნდა აცნობიერებდეს და საკუთარი საქმით და ქმედებებით საზოგადოებას დამატებითი სარგებელი უნდა მოუტანოს. ადამიანმა საკუთარი შრომისგან სარგებელი უნდა ნახოს, რათა სხვებისთვისაც სასარგებლო იყოს, თანაც ამ საზოგადოებისგან სარგებელი მიიღოს. მან ასევე ყველას უფლებები უნდა დაიცვას, რომ საკუთარი უფლებები არ დაარღვიოს.

მოვალეობა – ადამიანის მოვალეობაა სამართლიანობა. ადამიანის ქცევის ნორმები საზოგადოების და სხვა ადამიანების ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. საზოგადოება, ძირითადად, ადამიანებს შორის არსებულ ქცევების წესებით იმართება. ქცევის წესების ერთი ნაწილი სახელმწიფოს მიერ დგინდება და კანონებში საკუთარ სრულყოფილებას პოულობს.

***ისაუბრეთ საგზაო მოძრაობის წესების შესახებ, ქცევის წესების საკუთარი მაგალითების შესახებ, რომლებიც საზოგადოებისთვის აუცილებელია***

სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესები, ძირითადად უფლებამოსილი ორგანოებისგან იმართება.

მოქალაქეებს კონსტიტუციით მინიჭებული გარკვეული მოვალეობები აქვთ. ყოველი პირი აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს უნდა დაემორჩილოს, სხვა პირების უფლებასა და თავისუფლებას უნდა სცეს პატივი, კანონით გათვალისწინებული გარკვეული მოვალეობები უნდა შეასრულოს.

იცით თუ არა აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ძირითადი რომელი მოვალეობებია?

სამართალი და მოვალეობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. არ არსებობს უსამართლო მოვალეობა, ისევე, როგორც მოვალეობის გარეშე არ არსებობს სამართალი. სამართალი და მოვალეობა ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია.

*აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში გარკვეულია თითოეული მოქალაქის მოვალეობები.*

სახელმწიფოსა და საზოგადოების წინა,შე ყოველი პირი, უფლებისა და თავისუფლებისგან გამომდინარე, საკუთარ მოვალეობებს ასრულებს. ყველასთვის მხოლოდ კონსტიტუციის ან კანონის მიხედვით დგინდება მოვალეობები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ქვეყნის დაცვა მოქალაქის ერთ-ერთი მოვალეობაა. ქვეყნის დაცვის მოვალეობა სავალდებულო სამხედრო მომსახურების ან მისი ალტერნატიული გზებით ჩანაცვლების შესაძლებლობას ითვალისწინებს, მაგალითად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაში 76-ე მუხლის მიხედვით, მოქალაქის მოვალეობებია:

1. სამშობლოს დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა. კანონით გარკვეული წესებით მოქალაქეები სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიან.
2. თუ მოქალაქეს არ სურს სამხედრო სამსახურის გავლა, გარკვეულ შემთხვევებში სამხედრო სამსახურის მაგივრად ალტერნატიულ სამსახურით შეუძლიათ ჩაანაცვლონ.

ქვეყნის დაცვა ჩვენი მოვალეობაა? ამ მოვალეობის სხვა მხარეებიც ახსენით

ჯანმრთელი ცხოვრებისთვის გარემოს დაცვა კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. ბუნების დაცვა, მისი შენარჩუნება, ჯანმრთელი თაობის აღზრდისთვის აუცილებელი პირობაა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 78-ე მუხლის მიხედვით, გარემოს დაცვა ყველა მოქალაქის მოვალეობაა:

გადასახადების და სხვა სახელმწიფო ვალების გადახდის მოვალეობაც აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციაშია გათვალისწინებული; და ეს 73-ე მუხლში წარმოდგენილია: კანონით გარკვეული მთლიანი მოცულობის გადასახადების და სხვა სახელმწიფო ვალების თავის დროზე გადახდა ყველა მოქალაქეს ვალია.

უსაფუძვლოდ და უკანონოდ დაწესებული გადასახადების გადახდას ვერავინ ვერავის დააძალებს.

წლების მანძილზე, რაც საზოგადოება ვითარდება გარემოსა და რელიგიის მიხედვით, ასევე აყალიბებს ზნეობრივ ნორმების წესებს.

ადამიანის ძირითადი მოვალეობა, საკუთარი სულისა და სხეულის წინაშე არსებული მოვალეობაა. ის საკუთარ აზრებს ყოველთვის უნდა აკონტროლებდეს, საზოგადოებაში, ანუ გარემოსთვის სასარგებლო




და თავდაუზოგავი უნდა იყოს. ამ სარგებლობისა და თავდაუზოგავობის შედეგად ნორმალური საზოგადოება ყალიბდება, რაც ადამიანს გარშემო მყოფების მიმართ მოვალეობებს და ვალდებულებებს აკისრებს.

ასევე, ადამიანმა საკუთარ ჯანმრთელობას უნდა მიაქციოს ყურადღება და სხვა ადამიანებსაც უნდა დაეხმაროს.

ადამიანს პირადი მოვალეობის გარდა, ოჯახის, ნათესავების და სხვა ადამიანების წინაშეც აქვს მნიშვნელოვანი მოვალეობები. აქედან ყველაზე მთავარი დედა და მამაა, ასევე ოჯახის წინაშე არსებული მოვალეობა. როცა მშობლები ბავშვს აჩენენ, მას ზრდიან, აძლევენ განათლებას და ასწავლიან ზრდილობას. ჩვენი წარმატების მთავარი წყარო ჩვენი მშობლებია და ჩვენ მათთან ანგარიშვალდებულნი ვართ. მშობლების მიმართ არსებული სიყვარული და თავდაუზოგაობა, სხვების მიმართაც უნდა გვქონდეს. ადამიანს ოჯახის მიმართ არსებულ მოვალეობასთან ერთად, ყოველთვის სახელმწიფო მოვალეობებიც უნდა გააჩნდეს. როგორც ოჯახი უყვარს ადამიანს, ასევე უნდა უყვარდეს სამშობლო, უნდა დაიცვას სამშობლო და თავისი ქვეყნის მოქალაქეების ინტერესები. ყოველთვის უნდა იშრომოს ხალხის, ქვეყნის პროგრესისთვისა და განვითარებისთვის

1. ჩვენი მოვალეობების შესახებ მოამზადეთ პრეზენტაცია.
2. შეაფასეთ ადამიანის მორალის ფორმირებისას მოვალეობისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელობა.
3. დაასაბუთეთ ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ადამიანის ახდენს.
4. დაწერეთ ესე „ჩვენი მოვალეობა და პასუხისმგებლობა მორალს აყალიბებს“

## 4. ჩემი მორალური ვალდებულება

*სულთან ჰუსეინი ბაიაგარა შაჰ-ისმაილ ჰათაის წერილს უგზავნის და სალხინოდ პატიჟებს, რაც შაჰ-ისმაილმა იუარა და უთხრა: „ამისთვის მე დრო არ მაქვს, რადგან ჩემი ქვეყანა საფრთხეშია, ვერ მოვისვენებ, სანამ ჩემი სამშობლოს საზღვრებს ცხენით არ შემოვივლი".*

*რა გრძნობებს აღვიძებს თქვენში შაჰ-ისმაილის ეს სიტყვები?*

სამშობლო წმინდა და უსასრულოა. სამშობლოს სიწმინდეს ყველა ჩვენგანის გული, სული, დედის მიერ დარწეული აკვანი მოიცავს.

ჩვენი სამშობლო აზერბაიჯან ჯავანშირის, ბაბექის, ქოროღლის, გააფურ მამედოვის, ჩინგიზ მუსტაფაევის, მუბარიზ იბრაჰიმოვისთანა გმირების სამშობლოა. აზერბაიჯანის ამ გმირმა შვილებმა, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შესწირეს საკუთარი სიცოცხლე.

ასობით ასეთი შვილი ჰყავს სამშობლოს, რომლებიც მზად არიან საკუთარი ხალხისთვის, ერისთვის ღირსეულად იბრძოლონ, დაიცვან ისინი და საკუთარი თავი გასწირონ. მსოფლიოს ყოველ ქვეყანას ჰყავს ეროვნული გმირი, რომელიც საკუთარ მორალურ ვალდებულებებს ასრულებდნენ. საფრანგეთში - ჟანა დარკი, თურქეთში - ათათურქი, აზერბაიჯანში - ჰეიდარ ალიევი

*ისტორიის გაკვეთილიდან, ჩამოთვალეთ თქვენთვის ცნობილი გმირები, რომლებიც საკუთარი ხალხისთვის, ერისთვის იბრძოდნენ და მათ იცავდნენ.*



ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ფორმირებაში, გარკვეული ხედვების განვითარებაში ძირითად გავლენას ზრდილობა ახდენს. ადამიანის შეუცვლელი განვითარების უზრუნველყოფის, სასიცოცხლო ღირებულებების ფორმირების ძირითადი ფაქტორი მორალური ზრდილობაა. მორალური ზრდილობა ადამიანის აზროვნებაში და ქმედებებში სიამაყის, გულწრფელობის, პასუხისმგებლობის და სხვა გრძნობების ჩამოყალიბებას ეხმარება. .მორალური ღირებულებების დაცვა და

*თქვენი აზრით რომელი თვისებები ჩანს ამ სურათიდან?*

განვითარება ჩვენი ერთი-ერთი ძირითადი მოვალეობაა. სამშობლოს, ხალხის მიმართ სიყვარული და სხვა მორალური გრძნობები, ადამიანის მორალური ვალდებულების გრძნობების ფორმირებას უწყობს ხელს.



საერთო-ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი

მორალური ვალი ერთი ადამიანის კი არა, ხალხის, სახელმწიფოს ვალდებულებაც უნდა იყოს. ასე, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო შიდა და გარე პოლიტიკა ახალ ისტორიულ პირობებში, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ხალხის ისტორიულ და კულტურულსადათებს, ენის, რელიგიის და ეროვნული მორალური ღირებულებების მინიშნებით ახორციელებს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ განხორციელებული კულტურული პოლიტიკა ეროვნული-მორალური ღირებულების დაცვას და მომავალში შემდეგი თაობებისთვის გადაცემის გარანტიაა.

ჰეიდარ ალიევი ეკონომიკისა და პოლიტიკის გარდა, მეცნიერებას, კულტურას, განათლებასა და ხელოვნებას ანიჭებდა უპირატესობას. ასევე მეგობრობდა ჭკვიან ხალხთან, მათ შრომებს დიდად აფასებდა. ეროვნული ლიდერი ეროვნულ-მორალურ ღირებულებას – საკუთარ დედა ენას დიდ ყურადღებას აქცევდა. მისივე ინიციატივის წყალობით „თანამედროვე აზერბაიჯანული ენის“ სახელმძღვანელო სახელმწიფო ჯილდოს მინიჭებით არამხოლოდ მეცნიერული ღირსებების, არამედ დედაენის განვითარებისთვის სახელმწიფოს მიმართ ზრუნვისთვის დაჯილდოვდა. 1978 წელს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ახალი კონსტიტუციის მიღების დროს, აზერბაიჯანულის სახელმწიფო ენად გამოცხადებისთვის განსაკუთრებული მუხლის შედგენას, იმ დროისთვის, დიდი გამბედაობა სჭირდებოდა.

„მე ყოველთვის ვამაყობდი, დღესაც ვამაყობ, რომ აზერბაიჯანელი

*როგორ შეაფასებდით ჰეიდარ ალიევის მიერ განხორციელებულ ქმედებებს, როგორც მორალურ ვალს?*

ვარ!“ - ამ სიტყვებით ეროვნულმა ლიდერმა, ჰეიდარ ალიევმა აზერბაიჯანის მიმართ მორალური ვალი მოიხადა და აზერბაიჯანი სასახელო ქვეყანად აქცია



პრეზიდენტი ილჰამ ალიევი

კონსტიტუციაში დემოკრატიული, სამართლიანი, ერთიანი და საერო რესპუბლიკის დამყარება ცხადდება. ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი ყოველთვის ხალხის ეროვნულ-მორალურ ღირებულებებს, ასევე მათ რელიგიას დიდი პატივს სცემდა. ეროვნულმა ლიდერმა საბჭოთა კავშირის დროს ბარბაროსულად დანგრეული ბიბი-ჰეიბათის მეჩეთი აღადგინა. ჰეიდარ ალიევის პოლიტიკას ღირსეულად ილჰამ ალიევი განაგრძობს და სამშობლოს წინაშე მორალურ ვალსა არ ივიწყებს, მას ღირსეულად ახორციელებს. ჩვენს რელიგიას პრეზიდენტი ილჰამ ალიევის ნებართვით ვცემთ პატივს და ქვეყანაში რელიგიური და სხვა სახის დღესასწაულები აღინიშნება.

***მორალური ვალის ერთი ნაწილი არის ქველმოქმედება, რომელიც სამშობლოსა და ხალხის მიმართ სიყვარულის მაგალითია.***



ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი

ისტორიულად ხალხისა და სამშობლოს წინაშე მორალური ვალის აღმასრულებელი პიროვნება ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევი იყო. საქველმოქმედო საქმეებით დაკავებულმა 1901 წელს ბაქოში გოგონათა პირველი სკოლა გახსნა, რასაც 300 ათასი მანათის ოდენობით თანხა დასჭირდა. ეს სკოლა მთელ ამიერკავკასიაში პირველი გოგონათა სკოლა იყო. მისი განმანათლებლური ქმედებების წყალობით ქვეყანაში გაზეთებისა და ჟურნალების ბეჭდვა დაიწყო. თაღიევის დახმარებით 1905 წელს პირველი მუსლიმანური საქველმოქმედო საზოგადოება შეიქმნა. ამასთანავე „გამომცემლობა და განათლება“, „ნიჯათ (გადარჩენა)“ საზოგადოების ჩამოყალიბება ჰაჯი ზეინალაბდინ თაღიევის მხრიდან დიდი მხარდაჭერით მოხდა.

*კიდევ რომელ ქველმოქმედ პირს იცნობთ? განმარტეთ მათი განხორციელებული ქმედებები როგორც მორალური ვალი.*

პატრიოტიზმი ყველამ თავისი ქმედებით, საკუთარ სფეროში საქმიანობით უნდა გამოიჩინოს. მუსიკოსმა თავისი შესრულებით, კომპოზიტორმა საკუთარი კომპოზიციებით, მასწავლებელმა აღზრდილი მოსწავლეებით, ექიმმა განკურნებული პაციენტებით, სამშობლოს, სახელმწიფოს, ერის სიყვარულით, ისინი არაფერმა არ უნდა შეზღუდოს. ნებისმიერ ქვეყანაში რომ წავიდეთ, სამშობლო ღირსეულად უნდა წარვადგინოთ.

***„ჩვენ საკუთარი ეროვნული-მორალური ღირებულებების ერთგულები ვართ, ეს ღირებულებები უნდა დავიცვათ, შევინახოთ, ადათ-წესები უნდა გავაცოცხლოთ და ჩვენი ძალა ამაში უნდა იყოს“***

**ილჰამ ალიევი**

1. უცხო ქვეყანაში განხორციელებული რომელიმე ღონისძიებაზე თუ მიიღებთ მონაწილეობას, როგორ გააცნობდით სამშობლოს? აზრები ჯგუფურად ჩამოაყალიბეთ და წარადგინეთ პრეზენტაციის სახით.
2. დაწერეთ ესე - „ჩემი მორალური ვალი“

## 5. რელიგიური და ზნეობრივი ღირებულებები

***ყოველ ხალხს საკუთარი ადათ-წესები, საკუთარი ეროვნული-მორალური და რელიგიური ღირებულებები აქვს. ჩვენ ჩვენი ეროვნული-მორალური, რელიგიური ღირებულებებით და ადათ-წესებით ვამაყობთ“***

***ჰეიდარ ალიევი***

*თქვენი აზრით, რისგან შედგება ზნეობის ფორმირება? იმსჯელეთ*

*ხალხის კულტურის განვითარებაში და ფორმირებაში ისტორიული ეროვნულ-მორალური ღირებულებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ყოველი ხალხის მორალური სამყაროს ფორმირებაში ეროვნული-მორალური ღირებულებების პირობებში ენა, რელიგია და ადათ-წესები შედის.*

ზნეობრივი ღირებულებები ადამიანების ერთმანეთის მიმართ სიყვარულის, სითბოს, თანაგრძნობის, ერთმანეთის მიმართ პატივისცემისა და დახმარების გრძნობაა. ზნეობრივ ღირებულებებს ეროვნული ან გეოგრაფიული დაყოფა არ აქვს, ზღვარიც არ აქვს. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ერი, რომელიც მშობლის მიმართ პატივისცემას, ბავშვების, ავადმყოფების და მარტოხელების მიმართ არ იჩენს მზრუნველობას და არ უჩნდება სამშობლოს, ახლობლების მიმართ მადლიერების გრძნობა. მსგავსი ზნეობრივი ღირებულებების ხელშეწყობა, მომავალში ჯანსაღი, ზნეობრივი საზოგადოების წინაპირობაა. ზნეობა ადამიანებს შორის ურთიერთობების, ამავე დროს ადამიანების მორალური ცხოვრებისა და აქტივობების ერთობლიობით ფორმირდება.

ზნეობრივი კულტურის საფუძველი ადამიანების ინტერესების, მოთხოვნილებებისა და ხასიათების ღირებულებებისგან შედგება. საზოგადოების კულტურა მატერიალურ კეთილდღეობაზეა დამოკიდებულია.

ჩვენ ბავშვობიდანვე გვესმის უფროსებისგან, მასწავლებლებისგან, მშობლებისგან „იყავი სამართლიანი", „არ მოიტყუო", „დაეხმარე ადამიანებს", „არ მოიპარო", „ყურადღებიანი იყავი კლასელების მიმართ", „სწორად მოიქეცი", „დაეხმარე გაჭირვებულებს" და მსგავსი სიტყვები ზნეობრივად ჩამოყალიბებაში გვეხმარება. ასეთი დადებითი თვისებების მქონე ადამიანი ყოველთვის ზნეობრივ, ნამუსიან, ღირსეულ ადამიანად ითვლება. საზოგადოება ერთმანეთის მიმართ პატივისცემაზე დაყრდნობით ვითარდება. ყოველი ადამიანს ახასიათებს სხვის მიმართ პატივისცემა და ტოლერანტობა. თუ ადამიანი თავისუფალია, ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარ თავს არ უნდა აკონტროლებდეს, არ უნდა გამოაჩინოს უნარ-თვისებები და პატივისცემით არ უნდა მოეპყროს ხალხს

*მოიყვანეთ მაგალითები, ჩამოაყალიბეთ წესები თქვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან (სახლი, ქუჩა და სკოლა), რომელიც უნდა დაიცვათ.*

ადამიანების ზნეობრივი ქცევები ხასიათის სიმტკიცეს ეფუძნება. მტკიცე ხასიათის ადამიანების ზნეობრივ ქცევებს თუ დააკვირდებიან, სხვებისთვის, ძირითადად ახალგაზრდებისთვის, მაგალითნი არიან. ხანდახან ცუდი ჩვევების თავიდან აცილება გიჭირთ. თუმცა ზნეობითა და ზრდილობიანობით უარყოფითი თვისებების მოშორებას შეძლებთ. დადებითი ზნეობრივი თვისებებია: შრომისმოყვარეობა, თავაზიანობა, ყურადღება, ქველმოქმედება, გულწრფელობა, სინდისიანობა, სწორი, მტკიცე, უშიშარი, მწუხარების გამზიარებელი და სხვა თვისებები. ეცადეთ მსგავსი თვისებები ჩამოაყალიბოთ თქვენში. უარყოფითი ზნეობრივი თვისებებია: მაამებელი, მოღალატე, შურიანი, ურწმუნო, უხეში, მშიშარა, ლაჩარი, ორპირი, ამბიციური. მოიშორეთ, მსგავსი თვისებები.

ზნეობრივი გრძნობები ადამიანის მორალური მოთხოვნებისა და ინტერესებისგან შედგება. ეს გრძნობები ადამიანების სწორი ნაბიჯის გადადგმაში და სწორ ქცევაში ეხმარება. ხანდახან რომელიღაც მოვლენის შეფასება გვევალება. ზუსტად ამ დროს ზნეობრივი გრძნობების მეშვეობით ვიღებთ გადაწყვეტილებას. სინდისი უსამართლო გადაწყვეტილებებს გვაშორებს.

*საზოგადოებრივ ტრანსპორტში თქვენ ზრდილობის საწინააღმდეგოდ რომელ მოვლენებს წააწყდით? ამ დროს თქვენ როგორ მოიქცეოდით?*

ზნეობრივი ნორმები ისტორიის პერიოდიდან ფორმირდება. ადამიანების მოთხოვნისა და სიცოცხლის ინტერესების, ასევე რამდენიმე თაობის რელიგიურ და საერო გამოცდილებას, ზნეობრივ ღირებულებებში წარმოაჩენს. ზნეობრივი ღირებულებების ფორმირებაში სხვა ფაქტორების მსგავსად, რელიგიასაც დიდი როლი აქვს. რელიგია ადამიანების მუდამ ღირსეულად ცხოვრებისკენ მოუწოდებს. სწორედ ამიტომ აქებენ რელიგიას: „რელიგია ადამიანების ბედნიერების მიღწევისთვის, სიცოცხლეში რწმენით გამოყენების ღირსეული ღირებულებების ჯამია".

ღირსების გაგებას რელიგიაში დიდი როლი აქვს. რელიგიის ფუძემდებელური თვისება ღირსებაა. პოლითეისტური რელიგიების და ციური რელიგიების ფუძემდებელიც ღირსებაა.

ზარატუსტრას რელიგიის წიგნი „ავესტა" გულისხმობს, რომ ზრდილობა ადამიანისთვის აუცილებლობაში ჩათვლილი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო მოთხოვნადაა გათვალისწინებული. ყველას ზრდილობის აუცილებლობის გარდა, საზოგადოების ყველა პირისთვის კარგი მანერების, კარგი წესების, საქციელის სწავლაა საჭირო. მისიონერი ზარატუსტრა ამბობდა: „ადამიანს სრულყოფილება სჭირდება. მე ის ადამიანები მიყვარს, რომლებიც საკუთარ ცხოვრებას ცარიელ ოცნებებს, უაზრობებს, უგუნურ იდეებს კი არა, სამშობლოს და მამულის წირავენ. სიმტკიცით რომ კლავენ სიკვდილს, ღირსეულად რომ ცხოვრობენ და ღირსეულად რომ კვდებიან, ისეთი ადამიანები მიყვარს მე. მე ის ადამიანები მიყვარს, რომლებიც საკუთარ ტანს ტანჯავს და მერე კვალს ტოვებს. თავგანწირული ადამიანები მიყვარს, დღეს, რომ არ იციან მათი ფასი, მაგრამ ხვალ, რომ მხოლოდ ისინი გამოვლენ უდანაშაულონი. მე მიყვარს ის ადამიანები, რომლებიც გაუმაძღარი კი არაა, საკუთარი ეგოსგან გათავისუფლებული ადამიანები არიან".

წინასწარმეტყველი ზარატუსტრა დიდ ყურადღებას ანიჭებდა ოჯახისა და ერთად ცხოვრების წესებს. ის ამის შესახებ ამბობდა: "გასათხოვარო გოგონებო და სასიძოებო! სუფთა ცხოვრებაში, ღირსეულად მუშაობაში

***„ავესტა"-სგან მოცემული მაგალითები გააანალიზეთ და გამოიტანეთ დასკვნა***

შეეჯიბრეთ და აჯობეთ ერთმანეთს! ამ ცხოვრებისეული ძალით საკუთარ თავს სასიამოვნოდ და ბედნიერად იგრძნობთ"

"მოსეს განაჩენების" წიგნში წერია, რომ ღმერთის შიში ადამიანებს არიდებს ბოროტებას, დანაშაულს და აჩვენებს სინდისიერი ცხოვრებისაკენ მიმართულებას. როგორც სხვა რელიგიებშია, ქრისტიანობაშიც "არა კაცი კლა!", "არ მოიპარო!" სიტყვები მნიშვნელოვან როლს იკავებს ადამიანის სულიერ აღზრდაზე.

• ისლამი მეცნიერების მრავალ სფეროს - ფილოსოფიას, პოლიტიკას, სამართალს, ეთიკას, ლოგიკას, ფსიქოლოგიას, პედაგოგიკას და ა. შ. აერთიანებს. ისლამის საძირკველებს, განსაკუთრებით კი ყურანს და წინასწარმეტყველ მუჰამედის (s.ə.s.) ჰადისებს აქვს მდიდარი აღმზრდელობითი დანიშნულება.

მშობელისადმი პატივისცემის, ზნეობის, სამშობლოსადმი სიყვარულის, სინდისის, თავშეკავებულობის, სიმშვიდის, სიკეთეს, თავაზიანობის, მასპინძლობის, ნამუსის, მეცნიერების, ღირსების და ა. შ. შესახებ წინასწარმეტყველი მუჰამედმა (ს.ə.ს.) ძვირფასი აზრები გამოთქვა. ყურანი ადამიანთა ურთიერთობებზე ყურადღებას და ერთმანეთზე უზრუნველყოფას, ცოდვის პატიებას მთავარ, დადებით თვისებად აფასებს: "სასიამოვნო სიტყვა და ცოდვების პატიება (სამაგიეროს მოლოდინით) გაწეულ დახმარებაზე კარგია".

მუჰამედ წინასწარმეტყველის (ა.დ.მ) ჰადისებშიც ნათლად ჩანს ზრდილობის საკითხები. წინასწარმეტყველი მუჰამედი (ა.დ.მ) ურჩევდა ხალხს პირველ რიგში, აკვანიდან სიკვდილამდე რომ ესწავლათ მეცნიერება. ადამიანის ჩამოყალიბებაზე საუბრისას წინასწარმეტყველი მუჰამედი (ა.დ.მ) ზრდილობას უპირატესობას ანიჭებდა: „ვერც ერთი მშობელი საკუთარ შვილს ზრდილობაზე კარგ აღზრდას ვერ მისცემს". წინასწარმეტყველ მუჰამედის (ა.დ.მ) სიტყვები დღესაც ინარჩუნებს თავის ღირებულებას. წინასწარმეტყველი მუჰამედი (ა.დ.მ) იძახდა, რომ საკუთარი შვილისთვის თუ კარგი გინდა, უნდა აღზარდო ღირსეულად, ღირსების შენარჩუნება ყველა მშობლის მოვალეობაა, ამას

ამასთანავე იდეა ყალიბდება იმის შესახებ, რომ ვინც სხვებს წყალობს, ალლაჰი მათაც სწყალობს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანი სიკეთეს ჩაიდენს, როდესმე ეს სიკეთე თავს იჩენს, სამაგიეროდ დაუბრუნდება. წინასწარმეტყველი მუჰამედი (ა.დ.მ) ადამიანებს ეუბნებოდა, რომ იყვნენ ფრთხილები, რომელიღაც საქმის წამოწყებისას და უნდა იფიქრონ შედეგზე. („საქმის გაკეთება თუ გინდა, იფიქრე შედეგზეც, თუ შედეგი კარგია, მოჰკიდე იმ საქმეს, თუ არა, მაშინ გადაიფიქრე") ჯანსაღი აზროვნების, ჯანსაღი ზრდილობის ადამიანების ჩამოყალიბება ოჯახიდან იწყება. ოჯახი პატარა სახელმწიფოა. როგორც ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს წესები, ასევე ოჯახსაც აქვს წესები და ღირებულებები, რომელიც უნდა დაიცვა. ყოველმა მშობელმა საკუთარ შვილს საუკეთესო აღზრდის მიცემასთან ერთად, მის ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებაზეც უნდა იზრუნოს. ის სიყვარულით, წყალობით, მოფერებით უნდა იყოს შვილის მაგალითი. გასაჭირში მყოფ ადამიანებს, ლტოლვილებს და თანავე, წინასწარმეტყველი მუჰამედი (ა.დ.მ) იძახდა, რომ შვილსაც ეკისრება მოვალეობა, რომ თავის მშობელს პატივი სცეს, დაეხმაროს გასაჭირში, არ



**მეჩეთი**





შეუბრუნოს სიტყვა. („ვისაც უნდა დიდი ხანი იცხოვროს, მაშინ უპირველეს ყოვლისა, მან პატივი უნდა სცეს თავის მშობელს“). წინასწარმეტყველი მუჰამედი (ა.დ.მ) ახალგაზრდებს რჩევას აძლევდა, რომ მოხუცებს დაეხმარონ, გაჭირვებულებს ხელი გაუწიონ, სიკეთე ჩაიდინონ ყოველთვის; ის ასევე

***გამოთქვით თქვენი აზრი ისლამში არსებული ღირსების ღირებულებების შესახებ***

ამბობს, რომ ალლაჰის რჩეული სახლი ის სახლია, სადაც ობოლს პატივს სცემენ.იძულებით დევნილების ოჯახებს დახმარება უნდა გაუწიოს, უფროსების მიმართ პატივი, პატარების მიმართ ზრუნვა ზრდილობის ღირებულების მაგა-ლითია.

რელიგია ადამიანს აზროვნების ჩამოყალიბებაში ეხმარება. რელიგიური იდეების გამოყენებულ მთელ წიგნში ძირითადი საფუძველი ზრდილობის ღირებულებებია. ზრდილობის ღირებულებების შენარჩუნების ადგილი ოჯახია. აქედან გამომდინარე, ერთად  ცხოვრების წესები ადამიანებს ზრდილობის საკითხში მნიშვნელოვანი და

***წაკითხული მოთხრობებიდან გაამართლეთ ადამიანებისთვის გაკეთებული სხვადასხვა დახმარების მაგალითები.***

ფაქიზი ელემენტია. რელიგიებიდან ადამიანების ერთობლივ მდგომარეობას და კოლექტივში მყოფთა მდგომარეობის მნიშვნელოვნებას ვსწავლობთ. ზრდილობის წესები ადამიანების ხანგრძლივი სიცოცხლის გამოცდილების საწყისი ქცევების კოდექსია.* „რისი გაკეთება შეიძლება, რისი გაკეთება არ შეიძლება?“ კითხვებზე გაცემული პასუხები ყოველი ერის ეროვნული ზრდილობის იდეებიდან დაბადებული და მენტალიტეტის დამტკიცების ფაქტორია.

მოზარდი ახალგაზრდებისთვის საჭიროა იმის ცოდნა, რომ ერთობლივად ცხოვრება რელიგიურად და მეცნიერულად დიდ სარგებელს მოუტანს მათ.

# იცხოვრე ჯანსაღად და უსაფრთხოდ



# 1. ჯანმრთელი ცხოვრებია – ჯანმრთელი ოჯახი

| ჯანმრთელი რომ იყო | | | |
|---|---|---|---|
| უნდა იზრუნოს პირად ჰიგიენაზე | უნდა იზრუნოს გარემოს სისუფთავეზე | შორს უნდა იყოს მავნე ჩვევებისგან | უნდა დაკავდეთ სპორტით |
| | | | |

*როგორ შეიძლება სქემის დასრულება?*

*რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა რატომ არის ჯანსაღი ცხოვრების ძირითადი პირობა?*

ახალგაზრდების განვითარებას, დასაქმებას, ჯანმრთელობას სახელმწიფო მუდმივად დიდ ყურადღებას აქცევს. ჯანმრთელობის ერთ-ერთი პირობა არა მხოლოდ მედიცინური განმარტებაა, ის ამავე დროს საკუთარ თავში სოციალურ, მორალურ და ფსიქოლოგიურ კომპონენტებსაც შეიცავს. რეპროდუქტიული ჯანმრთელობა - ადამიანის ფიზიკური, მორალური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობაა, ახალგაზრდების რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა, სახელმწიფოს მთავარი პრიორიტეტი და სფეროა. დღეს რეპროდუქტიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები, ამავე დროს, გლობალურ საკითხადაც ითვლება. კერძოდ ახალგაზრდების ოჯახის შექმნის დროს სირთულეების შეხვედრის დროს, მატერიალური და მორალური საჭიროებები, მათი სოციალური დაცვა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს

*რომელია მთავარი ფაქტორი ჯანსაღი ოჯახის შექმნისთვის? აზრები ჯგუფურად ჩამოაყალიბეთ*



ყოველი ჩვენთაგანი ზრდილობას ოჯახში სწავლობს, აქვე ედება პირველი საფუძველი ჰიგიენის. ხანდახან ახალგაზრდა დედების მიერ დაშვებულ შეცდომებს არასასურველი შედეგი მოაქვთ. რეპროდუქტიული ჯანმრთელობა, ბავშვების ფიზიკური ჯანმრთელობის ერთი მხარეა და თუ გულგრილად მოეკიდებიან ამას, შესაძლოა კატასტროფით დასრულდეს, მაგალითად, გამოიწვიოს უშვილობა.

რეპროდუქტიული ჯანმრთელობის შენახვა შენარჩუნება, ქვემოთ მოცემული პირობების განხილვით შეგვიძლია.




თქვენ ცხოვრების ყველაზე ლამაზ ასაკს, მოზარდობის პერიოდს გადიხართ.

ეს პერიოდი ერთი მხრივ საიმედო, მეორე მხრივ არასაიმედო პერიოდია. ამ პერიოდის გავლა, თქვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოემზადებით სიახლეებისთვის.

რეპროდუქტიული ჯანმრთელობას საფუძველი ბავშვობის ასაკიდან ედება, მოზარდობის პერიოდი ძლიერ ანვითარებს ბავშვს და მთელი ცხოვრება ნარჩუნდება ეს განვითარება.

მოზარდობის პერიოდში გოგოებისა და ბიჭების ორგანიზმში შემდეგი ცვლილებები ხდება:

- სიმაღლესა და წონაში მომატება, კუნთების სისტემის განვითარება;
- სქესობრივი მომწიფება;
- ხმის ტემბრის ცვლილება (გოგოებში შედარებით ნაკლებად);
- კანის ცხიმოვანი ჯირკვლების აქტივობა, ზოგჯერ აკნეს ჩამოყალიბება;
- იღლიის ქვეშ ოფლიანობის მომატება.

***ოჯახის დაგეგმვა*** *- ქორწინებისთვის დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთება ოჯახში ბავშვების რაოდენობას არკვევს. ოჯახში ბავშვების სასაუბრო დონე, მშობლების რელიგიური დონე, ცხოვრებისეული წესი, განვითარება, არსებულ შესაძლებლობებზეა დამოკიდებული*

***ძალადობის ნაკლებობა*** *- ადამიანები, მიუხედავად სქესსა, ერთნაირი უფლებების მქონე არიან. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ქალების უფლებების დარღვევის სიტუაციების თვითმხილველები ვართ. ოჯახში ქალების მიმართ ძალადობა აუტანელია. ქალი დედაა, და, ქალიშვილი და მეუღლეა. ვისაც უნდა ოჯახის კეთილდღეობა, შვილების კარგი აღზრდა, ქალების მიმართ თავაზიანები უნდა იყვნენ.*

***სქესთა შორის ნორმალური ურთიერთობა*** *- საპირისპირო სქესის მიმართ პატივისცემით მოპყრობა, მათზე ზრუნვა, მათი დაფასება, პასუხისმგებლობის გრძნობა უნდა დაეუფლოს ქცევისას. ანუ, ყოველი პირის რეპროდუქტიული ჯანმრთელობისა და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა.*

***სქესობრივი გზით*** *გადამდები დაავადების ნაკლებობა (**aids**) - ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა რეპროდუქციული ჯანმრთელობისათვის.* ***aids****-დან შიდსამდე, ჰერპესი და ა.შ. შესაძლებელია ასეთი დაავადების მაგალითად მოყვანა. შიდსი არის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო. იგი თანდათანობით ანგრევს იმუნურ სისტემას და იწვევს პაციენტის სიკვდილს.*

***პირადი ჰიგიენა*** *- კანის, თმის და ფრჩხილების, მოძრაობის და ქმედებების, ჩაცმულობის, კვების მიმართ ჰიგიენური მოთხოვნები, რეპროდუქტიული ორგანოების მომსახურების კომპლექსური ერთიანობაა. რეპროდუქტიული ორგანოების, მათი ფუნქციების, მათი მომსახურების წესების უცოდინრობამ შეიძლება გამოიწვიოს დაუძლეველი დაავადებები. გამრავლების სისტემა გამომყოფ სისტემასთან დაკავშირებულობის გამო მისი ჰიგიენა აუცილებელია. ეს ორგანოები თუ არ იქნება სუფთა მდგომარებაში, მათში შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა სახის ინფექციები, ეს ინფექციები მრავლდება სასქესო და გამომყოფ ორგანოებში -აზიანებს თირკმლებს, შარდის მილებს, შარდის ბუშტს, შარდსადენს და სხვადასხვა სახის დაავადებებს იწვევს.*

*საზოგადოების ჯანმრთელობის არსებული მახასიათებელი რეპროდუქტიული ჯანმრთელობის მიმართ უყურადღებობა საფრთხის შემცველი იქნება. რადგან რეპროდუქტიული ჯანმრთელობის შენარჩუნება თუ არ იქნება სავალდებულო პირობა, შეუძლებელი იქნება ჯანსაღი თაობის გაჩენა.*

1. მოამზადეთ პრეზენტაცია პირადი ჰიგიენის მიმართ უყურადღებობის შედეგების შესახებ.
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე დაწერეთ რამდენიმე უფლება, რომელიც ქალებს ეკუთვნით. გაარკვიეთ ამ უფლებების შენარჩუნების მნიშვნელობები.

| ქალთა უფლებები | უფლებების შენარჩუნების მნიშვნელობა |
|---|---|
| | |

3. მოიძიეთ ინფორმაცია, შემდეგ ჩაწერეთ რვეულში რეპროდუქტიული ჯანმრთელობის შენარჩუნების გლობალურ პრობლემის კუთვნილებაზე.

## 2. უსაფრთხო ცხოვრება

*გაარკვიეთ მოცემულ ლაბორატორიული სამუშაოსა და სურათების შორის რა ტიპის კავშირია?*
*აიღეთ შუშის ორი ბოთლი: ერთში ცოტა (0,5-1გრ) კალციუმის კარბონატი (CaCo 3) ან სოდა, მეორეში 1 გრ მაგნიუმის ან ალუმინის კარბონატი მოათავსეთ. თითოეულში დაამატეთ 2-3 მლ ქლორიდმჟავა (HCİ)*

რა სახის წესებია დასაცავი, როცა ლაბორატორიულ კვლევებს ატარებთ?
კაცობრიობაში და საზოგადო ადგილებში რომელი უსაფრთხო წესებია დასაცავი?
ქიმია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. თქვენ იცით, რომ ქიმია მხოლოდ წიგნების ფურცლებზე კი არა, ჩვენი ცხოვრების ნაწილია და ყოველ წუთს გვხვდება.
ქიმიის გაკვეთილებზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევები ახალი ცნებებისა და შესაძლებლობების აღმოჩენას, ნასწავლი მასალების ათვისების და პრაქტიკის დროს დადებით შედეგთან ერთად, თქვენში სიამაყის გრძნობას იწვევს. თუმცა ყველა დავალების შესრულებისას თქვენში გაჩენილი სიამაყის გრძნობასთან ერთად, არ უნდა დაგავიწყდეთ თუ რა წესებია დასაცავი.



*ყურადღება მიაქციეთ იმ გზებს, სადაც გადასასვლელებია. გასასვლელი გზები ღიაა და ხანძრის დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები მანიშნებელი ნიშნები ადგილზეა?*

*არ დატოვოთ ცხიმიანი ტილოები მეტალის ჭურჭელში*

*მიაქციეთ ყურადღება რეაქტიული ბანკების ზემოთ მოცემული ნივთიერების შემადგენლობას*

*არ გარეცხოთ და არ გაწმინდოთ ის ავეჯი, რომლებზეც ხანძარი სწრაფად გავრცელდება.*

*არ გამოიყენოთ ის ნივთიერებები ჭურჭლის სარეცხად, რომელსაც არა აქვს სათანადო წარწერა*

რაუფი მე-5 კლასში სწავლობს. მას გარეთ თამაში უნდა. მაგრამ ცუდი ამინდია და დედამისი მას გარეთ არ უშვებს. ამჟამად რაუფი ფიქრობს რომ ითამაშოს ბურთით. მან დაინახა, რომ ბურთის გარშემო ძაფებია და იფიქრა, რომ ეს ძაფები მაკრატლით მოჭრას. მაკრატლის აღების დროს რაუფს თვალი დაუზიანდა, რადგან იგი დაეცა ძირს და მაკრატელი თვალში მოხვდა.

თუმცა, რაუფმა იცოდა სკოლიდან, თუ როგორ უნდა მოიქცეს საზიანო და საბურღი ინსტრუმენტების აღების დროს. გაიხსენეთ თქვენს ეს წესები,



*ლალას უნდოდა სველი ტილოთი გაეწმინდა დენში ჩართული ლამპა. დედამისმა მას რამდენიმე რჩევა მისცა. როგორი წინადადებებისაგან შედგება ეს რჩევები?*

*პირველადი დახმარებები, რომელ უბედური შემთხვევის დროს შეიძლება გამოვიყენოთ? რომელი წესების არ დაცვის შემთხვევაში ხდება?*



გულარი სახლში მარტო იყო. გაკვეთილებიდან დაბრუნებისას შხაპი უნდა მიეღო, საჭმელი უნდა მოემზადებინა, ჩაი უნდა აედუღებინა. ამ დროს მან უცებ გაიფიქრა. „მე დედისა და მასწავლებლის მიერ დარიგებული რომელი წესები უნდა გამოვიყენო?“

- საყოფაცხოვრებო ელექტრონული მოწყობილობები დაიცავით წყლისგან.
- რადიო და სხვა მოწყობილობები არ გამოიყენოთ აბაზანაში.
- სველი ხელებით ელექტროსადენებსა მოწყობილობებს ნუ შეეხებით.

**მაშ რომელი საფრთხის დროს რომელი კვალიფიციური ხელოსანი უნდა გამოვიძახოთ?**

- თუ ელექტრონული მოწყობილობის შეხებისას ვიგრძნობთ ჩხვლეტას;
- თუ იცვლება საკეტის ფერი;
- თუ ელექტრონული სადენიდან და მოწყობილობიდან დამწვრის სუნი გამოდის;
- თუ ნაპერწკალს შეამჩნევთ.



1. ასიფს ელექტრული ხერხით ხის მოჭრა დაევალა. მან უსაფრთხოების რომელი წესები უნდა დაიცვას?
2. შეადგინეთ უსაფრთხოების წესები სკოლაში სემინარებზე მუშაობისას.
3. კაცობრიობაში გამოყენებული მოწყობილობები რომც გაადვილდეს, მაინც უნდა იცოდე იმ მოწყობილობების გამოყენების წესები, რათა თავი აარიდო არასასურველ შედეგებს. რომელი უსაფრთხოების წესები უნდა გამოვიყენოთ, რათა თავიდან ავიცილოთ არასასურველი მოვლენები?







## 3. ბუნებიდან მომდინარე საფრთხეები

*რაიმე დაზიანების მიღებისას, თქვენ უკვე იცით, რომ ექიმის მოსვლას ან ექიმთან მისვლამდე პირველად დახმარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. გაიხსენეთ გველის კბენისას, ფეხის გადაბრუნებისას, მოტეხვისას, სისხლდენისას, დამწვრობისას, გულის წასვლისას, დახრჩობისას პირველადი დახმარების დროს რა უნდა მოიმოქმედოთ?*

მაგრამ თუ იცით ამ მოვლენების გაჩენის შედეგი უპასუხისმგებლობის გამო ხდება თუ უსაფრთხოების წესების უცოდინრობის გამო? საკუთარი თავისთვის თუ გითქვამთ: „ეს რომ გამეკეთებინა, ასე არ მოხდებოდა?"

მსოფლიოში, ამავე დროს ჩვენს ქვეყანაშიც, გველის ნაკბენისგან ყოველ წელს ბევრი ადამიანი იტანჯება. ზაფხულობით, ტემპერატურის მატებასთან ერთად ეს საფრთხე იზრდება.

**გაიხსენეთ სულემან სანი ახუნდოვის „ბოშა გოგონა"( არაცა ქ ზ) მოთხრობის საფუძველზე გადაღებული ფილმი. როცა აღჩა ხანუმი ღობესთან ბოშა გოგონას სიმღერას უსმენდა, ღობეს სიღრმიდან შხამიანი გველი ამოვარდა და მის შიშველ ხელს უკბინა. ბოშა გოგონა შხამს წოვდა და ძირს აფურთხებდა. ბოშა გოგონას კბილის ღრძილების დასისხლიანების გამო, შხამი ნაფურთხით მის სისხლს შეერია და მისი გადარჩენა შეუძლებელი გახდა.**

ამჟამად, ადამიანები საზოგადო დასვენების ადგილებში უფრო მიისწრაფვიან: მთისწინეთში, ტყეებში, მდინარეებთან. იმიტომ, რომ ბუნების წიაღში დასვენება უფრო საინტერესო და ორგანიზმისთვის სასარგებელოა. ძირითადად ზაფხულის თვეებში დასასვენებელ ადგილებზე უფრო მეტი ადამიანი მოდის. მაგრამ დავიმახსოვროთ, რომ ასეთ ადგილებში საფრთხეებს შეგვიძლია შევხვდეთ. ასეთი საფრთხეების ერთი ნაწილი იმ ადგილებში არსებული ცოცხალი არსებებია, რაც რამდენიმე სახის საფრთხის მომტანი შეიძლება იყოს. ჩვენ სეირნობისას შეგვიძლია შევხვდეთ გველებს, მორიელებს, შხამიან ობობებს, სხვადასხვა სახის ტკიპებს, მტაცებელ ძუძუმწოვრებს და ა.შ. ამ დროს ხშირად არასასიამოვნო მოვლენები გვხვდება.

გაიხსენეთ გველის კბენისას რომელი პირველადი დახმარების გაწევაა საჭირო? სად შეიძლება გველებს შევხვდეთ? მათთან შეხვედრისას, რისი ცოდნაა საჭირო?

მოსახლეობა ქვეწარმავლების, ძირითადად გველების ცხოვრების წესების, ქცევების არ ცოდნის დროს, ხშირად გველის კბენისგან დაუცველია. შხამიანი გველის კბენის დროს 30% სიკვდილით მთავრდება. იმიტომ, რომ გველის შხამის შემადგენლობა ნერვული სისტემაში მოქმედებისას პარალიზებას იწვევს, ასევე სისხლში არსებული წითელი სისხლის უჯრედების, სისხლის ძარღვების კედლების ნგრევასა და სისხლდენას.

ყველა გველი შხამიანი არააა. ისინი მხოლოდ თავდაცვისთვის ან მხოლოდ კვებისთვის იკბინებიან. ეს ქვეწარმავლები, ძირითადად მოცულობისა და სახეობების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სიგრძე -12 მეტრი, წონა - 120 კგ-ს მიღწეული არაჩვეულებრივი ანაკონდებიდან დაწყებული 12 სანტიმეტრის სიგრძის არსებული მიწისმატლის მსგავსი ბრმა გველების მსგავსად ბევრი სხვადასხვა მოცულობის გველი არსებობს.



გველი შეტევაზე არ გადადის, მხოლოდ სხეულის შეკუმშვით, ის მტრისკენ მიეშურება და ასე იცავს თავს. ეს კი, გველის მოკვლის ან დახრჩობის სურვილის დროს ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში გველი ადამიანებისგან გაქცევას, დამალვას ცდილობს. ისინი იმ მანძილამდე ხტებიან, სადამდეც მათი აფრიალებული სხეული იხსნება. ამიტომაც, შხამიან გველებთან 1.5 მეტრის მანძილზე ყოფნა სახიფათოა. გველები თავდაცვის შემთხვევაში იკბინებიან, თუ შემთხვევით მიუახლოვდი და ფეხების ქვეშ აღმოჩნდა, ან ხელით თუ შეეხე.

ამიტომაც, გველების არსებობის ალბათობა სადაც მეტია, იმ ტერიტორიაზე სეირნობისას ფრთხილად იყავით. ასეთ გარემოში თან იქონიე ჯოხი ან რაიმე მსგავსი ნივთი, ქვას და ბუჩქნარს დაარტყი, მერე გაუნძრევლად დარჩი და ასე მოუსმინე მას. თუ გველი არის, დარტყმის ხმისგან შეშინებული გამოჩნდება.

უსაფრთხო გველების უმეტესობა, მაგალითად ოქროს გველი, საშიშროების – ადამიანთან შეხვედრისას შხამიანი გველივით იქცევა.

გველის კბენისას ადამიანს პირველადი დახმარება პირველივე წამიდან უნდა დაეწყოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ გველის კატეგორია – შხამიანია თუ არა.



თუ კბენისას ორი კბილის კვალი დარჩა, ესე იგი იგი შხამიანია. თუ ორ ნაკბენზე მეტი და პატარა წითელი წერტილებია, ესე იგი უშხამო ნაკბენია.

შხამიანი ობობები: ობობებში შხამიანი სახეობები ძალიან ცოტაა. აზერიბაიჯანის რესპუბლიკაში 2 შხამიან ობობას ვხვდებით. ესენი

**შავიჭია და ტარანტულაა.** შავიჭიის შხამი ცხოველებისა და ადამიანებისთვის სახიფათოა. შუა აზიაში გავრცელებული ობობების სახეობების შხამი ცხენს, საქონელს, აქლემსაც კი კლავს. ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელებული სახეობის შხამი ძალიან საშიში არაა. ტარანტულას კბენის დროს ჭრილობა ხდება მტკივნეული და ანთებასაც იწვევს.



ტარანტული

**მორიელები** ადამიანებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ისინი თავიანთი კუდში არსებული ნესტარით შხამს ჭრილობაში ავრცელებენ. მორიელები დღისით იმალებიან, ღამით ნადირობენ. მათი დანახვა შეიძლება კედლების შორის, ქვების ქვეშ, ქვიშებში. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 3 სახის მორიელია. ყვითელი და მუქი მორიელის შხამი სუსტია, შავი მორიელის შხამი ძლიერ ეფექტს ფლობს. მისი ნაკბენით ადამიანი 10-15 დღის განმავლობაში ძლიერ ავადმყოფობს.



მორიელი

1. ერთ-ერთ დასასვენებელ კურორტზე დასვენების დროს აისელამ გველგესლა დაინახა, რომელიც მისი სახლის მიმართულებით მისრიალებდა. რა უნდა მოიმოქმედოს აისელამ ამ დროს?
2. ნურგიუნამ ნახიჩევანის ქალაქში მოერიელების ბინადრობის შესახებ ყველაფერი იცოდა. ის, ნახიჩევანის ქუჩაში ბავშვებთან ერთად ბურთით თამაშობდა და თამაშის დროს ბურთი ქვებთან გადავარდა. ნურგიუნამ ბურთის აღებისას ქვებთან მორიელები დაინახა. ამ დროს რა უნდა მოიმოქმედოს?
3. საძოვრის ტკიპები ენსეფაიტის დაავადებას ატარებენ. მოიძიეთ ინფორმაცია მათ შესახებ და დაადგინეთ მათგან დასაცავი გზები.

## 4. სატრანსპორტო გზების დარეგულირება

წლების წინ გზაჯვარედინზე მოძრაობას მარეგულირებელი პირები არეგულირებდნენ. ამჟამად შუქნიშნების არსებობის მიუხედავად, დღესაც მარეგულირებელი პირები გზაჯვარედინზე მოძრაობას არეგულირებენ? მოძრაობას აკვირდებიან: თუ საჭირო იქნება, მოძრაობაში ჩარევის უფლებაც აქვს.

თქვენი აზრით, რა დროს არის საჭირო მარეგულირებელი პირების ჩარევა მოძრაობაში?

რომელ სიტუაციაში რომელი წესი უნდა დაიცვან?

სტატისტიკის მიხედვით, ავტოსაგზაო შემთხვევების დიდი ნაწილი ქვეითების, ძირითადად სკოლის მოსწავლეების მიერ საგზაო წესების არცოდნის შემთხვევაში, ან ცოდნის და არ გამოყენების შემთხვევაში ხდება.





ამ სურათში ადამიანები რომელ წესებს არღვევენ?

უდისციპლინო მოძრაობის მონაწილე თუ გავხდებით, ჩვენ ჩვენივე სიცოცხლისა და ავტომობილის მძღოლის სიცოცხლეს საფრთხეს ვუქმნით. ესეც რომ არა, ჩვენ ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი ვხდებით და ასევე ქონების დაზიანებას ვიწვევთ

მოდით ვნახოთ, თუ რა შემთხვევაში ვართ საფრთხის ქვეშ?

გაკვეთილიდან სახლში დაბრუნებისას ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ამხანაგს თუ დაინახავთ, არ დაივიწყოთ საკუთარი თავი და სატრანსპორტო საშუალებების წინ არ გადაირბინოთ. ეს ძალიან სახიფათოა. იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, მძღოლი შეგამჩნევთ თუ არა, იგი უცებ ვერ დააჭერს მუხრუჭის პედალს და ვერ გაჩერებს მანქანას. ეს ფიზიკის კანონების მიხედვით შეუძლებელია. იმიტომ, რომ მძღოლმა მუხრუჭს რომ დააჭიროს, მანქანა ცოტაოდენ გზას მაინც გაივლის, ეს სამუხრუჭე მანძილია. გზის სიმშრალის გამო ხახუნის ძალა იმატებს და სამუხრუჭე მანძილი მცირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გზა სველია, ხახუნის ძალა იკლებს და სამუხრუჭის მანძილი იმატებს. ასე რომ, მძღოლის

საფრთხის შენიშვნის შემდეგ, ავტომობილის შეჩერების მომენტამდე გავლილი გზა სამუხრუჭე მანძილია. თუ ეს წესები იცით, არ დააყენოთ არაც თქვენი და არც სხვისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ.

თუ თქვენ ვერ ასრულებთ გადასვლას გადასასვლელი გზით, მაშინ ტრანსპორტის მოძრაობის გამყოფ ს ხაზზე დადექით და დაელოდეთ.

- მეგობრებთან ერთად სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მიმართულებით, გზის სავალი ნაწილის მარჯვენა მხარეს ერთ მწკრივზე 4 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფის მოძრაობის საშუალება გაქვთ. ჯგუფის წინ და უკან - მარცხენა მხარეს მარეგულირებლები უნდა იყვნენ, მათ ხელში პატარა წითელი დროშა უნდა ეკავოთ, სიბნელეში და შეზღუდული თვალთახედვის პირობებში ჩართული ფანრები აქვთ: წინ თეთრი, უკან წითელი სინათლის ფანარი უნდა ეჭიროთ.

ალბათ ყველას გიყვართ ველოსიპედის ტარება. ზღვისპირას ეროვნულ პარკში სასეირნოდ გასვლა, ამ სატრანსპორტო საშუალებით მეგობრებთან დასვენება და შეჯიბრი ძალიან სასიამოვნოა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ველოსიპედებით ქუჩაში გასვლისას ავტომობილების ნაკადებს დავემთხვევით. ასე, საკუთარ და სხვისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ ვაყენებთ. ამისთვის საჭიროა ქვემოთ მოცემული დებულებების ცოდნა და დაცვა

ქუჩებში და გზაჯვარედინებზე ველომრბოლელისთვის მარცხნივ და საპირისპირო მიმართულების დაბრუნება არ არის ნებადართული. გზაჯჯ



***14 წლის ასაკის ზევით, ყველას შეუძლია ველოსიპედის ტარება გზაზე. ხოლო 14 წლამდე ველოსიპედის ტარება სავალდებულოა დახურულ სივრცეებში ან პარკში.***



***ეს ნიშანი სადაც დგას, იქ ველოსიპედის ტარება არ არის ნებადართული.***

*• ქუჩებში და გზაჯვარედინზე ველომრბოლელთათვის მარცხნივ და საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა არ არის ნებადართული, მხოლოდ პირდაპირი მიმართულებით მოძრაობაა ნებადართული, რადგან ტროტუართან ახლოს მიმავალი ველოსიპედი მარცხნივ მოხვევისას ხელს უშლის იმ ავტომობილებს, რომლებიც მოძრაობენ თანმხვედრი პირდაპირი მიმართულებით.*

*ჯგუფურად ველოსიპედის ტარებისას განსაზღვრეთ ის წესები, რომლებიც უნდა იყოს დაცული.*

- *გზაჯვარედინის მიმდებარე გზის ველოსიპედის დამარაგებულირებელ გზის გადაკვეთისას ველოსიპედის მძღოლებმა ამ გზის მამოძრავებელ სატრანსპორტო საშუალებებს გზა უნდა დაუთმონ.*

- *ველომრბოლელების ჯგუფურად სიარული ნებადართულია მხოლოდ დღისით.*
- *ველოსიპედებით მხოლოდ გზის მარჯვენა მხარეს, საგზაო ნიშნების ან საგზაო მონიშვნების შესაბამისად, შეძლებისდაგვარად მარჯვნივ უნდა იმოძრაონ. ზოგჯერ, იმ შემთხვევაში თუ ქვეითებისთვის არ ქმნის დაბრკოლებას, ველომრბოლელს გზის მარცხენა მხარეს მოძრაობა შეუძლია. ველომრბოლელთა ჯგუფის გზაზე მოძრაობისას მათი რაოდენობა 10-ზე მეტი არ უნდა იყოს. სატრანსპორტო საშუალებების გასწრების გაადვილებისათვის ჯგუფებს შორის მანძილი 80-100 მეტრი უნდა იყოს.*

*დაბრკოლების გარეშე და უსაფრთხო მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითოეულმა მონაწილემ იცის წესები და იცავს მათ. იმ ქვეითებს და ველომრბოლელებს, რომლებიც არღვევენ ადმინისტრაციულ და საზოგადოებრივ წესებს, შესაბამისი პასუხისმგებლობა ეკისრება: ადმინისტრაციული ჯარიმა დარღვევის შესაბამისად, წესის დარღვევის შესახებ სიტყვიერი გაფრთხილება და ინფორმაცია გადაეცემა სკოლას ან მშობლებს.*

1. რა უნდა გააკეთოს ავტობანზე მიმავალმა ველომრბოლელმა?
• თუ ახლოს არ არის სატრანსპორტო საშუალება, საჭისგან გაშვებული ხელით ტარება დაშვებულია?
• არავითარ შემთხვევაში არ არის ნებადართული საჭისგან გაშვებული ხელებით ტარება

• ორივე ფეხი თუ აქვს პედალზე, საჭისგან ხელი გაშვება შესაძლებელია
2. თუ ქვეითების გადასასვლელთან გაჩერებული მძღოლი ხელით ანიშნებს, რომ გზას უთმობს. როგორ უნდა ანიშნოს მან?
• გზის გადასვლა შეიძლება.
• გზის გადასვლა არ შეიძლება.
• უნდა დაელოდო.
• გზის გადასვლა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დავრწმუნდებით, რომ გაჩერებული მანქანას სხვა მანქანები არ გაასწრებს.

3. წვიმის შემდეგ ქვეითი გზის გადასვლას აპირებს. შესაძლებელია თუ არა მანქანის გაჩერება მუხრუჭის პედალს თუ დააჭერს მძღოლი? მიზეზი განმარტეთ.
4. რომელი წესების დაცვაა საჭირო, რომ ველომრბოლელი გზის-სატრანს-პორტო საშუალებებ რომ არ შეხვდეს?
5. რა შემთხვევაში შეუძლია ველომბრობელს მოძრაობა გზის მარცხენა მხარეს?
• ყოველთვის;
• თუ ველომრბოლელისთვის კომფორტულია;
• მხოლოდ სოფლის ადგილებში;
• თუ მოძრაობისას ქვეითებს საფრთხეს არ უქმნის.

## 5. დავუჭიროთ ერთმანეთს მხარი

*2005 წელს პაკისტანში ძლიერი მიწისძვრის შედეგად 16.000-მდე ბავშვი დაიღუპა. ფილიპინებში ლეიტეს კუნძულებზე ღვარცოფის შედეგად 200-მდე ადამიანი ცოცხლად დაიმარხა მიწაში.*

*როგორ უნდა დაუჭირონ მხარი ადამიანებმა საგანგებო სიტუაციების დროს? როგორ კმაყოფილდება ადამიანების დახმარების მოთხოვნილებები?*



ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორია სტიქიებთან, ავარიებთან, უბედურ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ყოველ წელს დაახლოებით 200 მილიონზე მეტი ადამიანი გვალვისგან, წყალდიდობისაგან, მიწისძვრისაგან, ტყის ხანძრებისაგან, მეწყერისაგან და სხვა ბუნებრივი მოვლენებისაგან ზარალდება.

მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა, გარემოს დაბინძურება და ნგრევა, გლობალური დათბობა უფრო ზრდის ბუნებრივი სტიქიების რაოდენობას და ამის გამო, მსგავსს შემთხვევებში მსოფლიო ქვეყნები მხარდასაჭერად სხვადასხვა სახის ნაბიჯებს დგამენ. 2005-წელს იაპონიაში 168 ქვეყნის სახელმწიფოს წარმომადგენლების დასწრებით სტიქიების შემცირების მიზნით მსოფლიო კონფერენციაზე "დედამიწაზე ბუნებრივი სტიქიების შემცირებისადმი მიძღვნილი სამოქმედო პროგრამა" იქნა მიღებული.

*მიზანი 2015 წლამდე ბუნებრივი კატასტროფების შედეგად ადამიანების დაკარგვა, ქვეყნებისა და საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალების შემცირება იყო.*

*თითოეულ ადამიანს ბუნებრივ კატასტროფასთან შეხვედრის რისკი აქვს. ჰააგის აქტიური პროგრამის თანამშრომლობის განვითარება აუცილებელია. კატასტროფების დროს საზოგადოებრივი, ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის ზარალის თავიდან აცილებისთვის, მოქალაქეების და მთლიანად საზოგადოებისთვის ყურადღებას იპყრობს. ამ შემთხვევაში, ადამიანის დანაკარგები მცირდება, საზოგადოებრივი, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალები მინიმუმამდე ეცემა.*

*ადამიანებს ამ სფეროში განვითარებისთვის სკოლა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. სკოლის ხელმძღვანელებმა, მასწავლებლებმა მოსწავლეებში უნდა განავითარონ ეს სფერო.*

- *კატასტროფის დროს ბავშვები სუსტ ჯგუფად ითვლებიან: თქვენი აზრით, რატომ? ამ საკითხის შესახებ, იმსჯელეთ მეგობრებთან ერთად.*
- *საგანგებო სიტუაციების დროს დანაკარგის შემცირებისთვის საწარმოების მიერ საევაკუაციო გეგმა დგინდება.*




*მოცემული ბინის ევაკუაციის გეგმის მიხედვით, მოამზადეთ თქვენი სკოლისთვის საევაკუაციო გეგმა*

სკოლებში უსაფრთხოების გაზრდისა და სტიქიებისადმი ზომების მიღებისათვის ამავე დროს უნდა დამზადდეს სასკოლო გეგმა. ამ გეგმის მიხედვით სკოლის კოლექტივის თითოეული წევრის, მათ შორის მოსწავლეების მიერ, გარკვეული უნარის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაა საჭირო. ნებისმიერ შემთხვევაში ყოველ სასკოლო დაწესებულებაში რისკების მართვაზე სასკოლო საბჭო უნდა არსებობდეს და მის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ქვემოთ ჩამოთვლილები.

*ნებისმიერი საგანგებო მოვლენის დროს სკოლის საზოგადოებაში დასახმარებლად ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების წევრები განსაზღვრეთ. მათთვის საჭირო ნივთები და სამოქმედო პროცესები დაგეგმეთ.*

*1. „ინდივიდუალური დამცავი საშუალებების დარიგება და მათი მოხმარების წესებზე დაკვირვების“ ჯგუფი;*

*2. საევაკუაციო გუნდი;*

*3. პირველი სამედიცინო დახმარების გუნდი;*

*4. საგამოძიებო ჯგუფი;*




**1. გაანალიზეთ და გამოიმუშავეთ თქვენს სკოლებში რისკების მართვის ჩარჩოებში შესრულებული სამუშაოები.**
**2. „კატასტროფა ჩვენს სკოლას არ მიაღწევს“ - სათაურის მიხედვით, შეასრულეთ წესები და კედელზე ჩამოკიდეთ.**
**3. „ როგორ უნდა დავეხმაროთ ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებს ხანძრის დროს?“ - თემის შესახებ მოამზადეთ პროპაგანდის სახის სასკოლო ჟურნალი.**
**4. მოამზადეთ რჩევები ბუნებრივი კატასტროფის დროს მიღებული რისკების შემცირების შესახებ.**
**5. წაიკითხეთ ტექსტი და იმსჯელეთ მეგობრებთან ერთად, მსგავსი ტიპის მოვლენების დროს, რა უნდა მოიმოქმედო**

**სკოლის დირექტორმა სკოლის მოსწავლეები გადაარჩინა**

ჩინეთში 2008 წლის 12 მაისს მიწისძვრის შედეგად, ყველაზე მეტად დაზარალდა „სანგზაოს“ სკოლა, თუმცა სკოლის დირექტორი 2600 მოსწავლისა და მისი კოლეგების გადარჩენისთვის დააჯილდოვეს. ეს იმის შედეგი იყო, რომ სკოლაში ამ საკითხის შესახებ ყოველთვის ტარდებოდა პრაქტიკული გაკვეთილები. ყოველ კლასში თითოეული კატასტროფის დროს საევაკუაციო გეგმის მიხედვით ტარდებოდა მომზადება. ამის შედეგად კატასტროფის დროს, დაწესებულებიდან გამოსვლის გზები გარკვეული იყო. ისიც იყო გარკვეული, თუ ვინ რომელ სართულიდან ნელა უნდა ჩამოსულიყო, ვინ რომელი სართულიდან სწრაფად, რათა არ ყოფილიყო არეულობა

# სარჩევი

## ბუნების კანონზომიერებები


1. მატერია - ნივთიერება და ფართი ....6
2. სამყაროში არსებული მოვლენების საიდუმლოებები ....11
3. ეკოლოგიური ბალანსი ....14
4. ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნება და აღდგენა ....17


## საზოგადოება და სახელმწიფო


1. საზოგადოების განვითარება ....20
2. სახელწმიფო ხელისუფლება ....23
3. ადამიანთა უფლებები ....28
4. ადამიანთა უფლებების დარღვევა ....31
5. ფინანსები ....35
6. დაზღვევა ....37
7. საგადასახადო ....40


## ჩემი სულიერი სამყარო


1. როგორ ვქმნით ურთიერთობას ....44
2. ადმიანთა შორის ურთიერთობები ....48
3. მოვალეობები და პასუხისმგებლობები ....50
4. ჩემი მორალური მოვალეობა ....53
5. რელიგიური და ზნეობრივი ღირებულებები ....56


## იცხოვრე უსაფრთხოდ და ჯანმრთელად


1. ჯანსაღი ცხოვრება - ჯანსაღი ოჯახი ....62
2. უსაფრთხო ცხოვრება ....65
3. ბუნებიდან მომდინარე საფრთხეები ....68
4. სატრანსპორტო გზების დარეგულირება ....71
5. დავუჭიროთ ერთმანეთს მხარი ....75

# სამყაროს შემეცნება

# 8

კლასის საგანმანათლებლო

## სახელმძღვანელო

**HƏYAT BİLGİSİ 8**
*Ümumtəhsil məktəblərinin 8-ci sinfi üçün*
*Həyat bilgisi fənni üzrə*
**DƏRSLİK**
**(Gürcü dilində)**

**Tərtibçi heyət:**

Müəlliflər: **Məmmədova Nüşabə Əsəd qızı**
**Bəhrəmova Sevil Şivəxan qızı**

Koordinator: **Roland Jalagania**
Tərcümə edən: **Zərifə Hacıyeva**

Buraxılışa məsul **Sevil İsmayılova**
Dizayner **Elşən Qurbanov**
Səhifələyici və texniki redaktor **Mixail Çodreşvili**
Rəssam **Mərziyə Tağıyeva**
Baş redaktor **Gültəkin Cəfərova**
Texniki direktor **Xəqani Fərzalıyev**
Nəşriyyat direktoru **Kəmalə Qarayeva**

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin*
*08.06.2015-ci il tarixli 645 №-li*
*əmri ilə təsdiq edilmişdir.*

**© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi. Fiziki çap vərəqi 5. Formatı 70x100 $^{1}/_{16}$.
Səhifə sayı 80. Ofset kağızı. Jurnal qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

**“Şərq-Qərb” ASC**
**AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küç., 17.**

Pulsuz